საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოს გართობა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 27 ივლისი. 2017 წ. №151 (8288), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ჯოჯოხეთია მოსაგონებლად!..

იგორ გიორგაძე და მისი ლანდი:

დაბრუნდება თუ არა ექსუშიშროების მინისტრი საქართველოში?

③

საააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს!

უკრაინული და რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს. საინფორმაციო საშულებები ინფორმაციას რადას რადიკალური პარტიის დეპუტატის იგორ მოსიუჩუკის „ფეისბუქ“ სტატუსზე დაყრდნობით ავრცელებენ:

„მე მიდასტურებენ: ეს სიმართლეა — ქართველ იანუკოვიჩს, მიხო სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს და ამას ადასტურებს ის, რომ პრეზიდენტმა პოროშენკომ როგორც იქნა დაიწყო საკუთარი შეცდომების აღიარება“ — წერს მოსიუჩუკი.

აღსანიშნავია, რომ პირველად სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოფილმა პრესსპიკერმა და ასევე შს მინისტრის არსენ ავაკოვის ყოფილმა მრჩეველმა სტანისლავ ვეჩინსკიმ გაავრცელა. სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა 2015 წლის 29 მაისს მიიღო.

ღმერთო, დალოცე უმანგი დალაქიშვილი და სახლეული მისი!..

⑥

ოპოზიციამ ბუკიკიოსაც ყელში ამოუყვანა!

ვენეციის კომისიის როლი არ არის, დააწესოს კონკრეტული გადაწყვეტილება!..

„ვენეციის კომისია საკუთარ პოზიციაზე რჩება, რომ გამოსავალი ნაპოვნი უნდა იქნეს დიალოგის გზით, რათა მიღწეულ იქნეს ფართო კონსენსუსი“, — ამის შესახებ საუბარია ვენეციის კომისიის პრეზიდენტის ჯანი ბუკიკიოს წერილში, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ სახელზეა გამოგზავნილი.

„ძვირფასო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებო, გმადლობთ ახალი წერილისთვის. ვენეციის კომისიას კვლავ მიაჩნია, რომ გამოსავლის მიღწევა უნდა მოხდეს დიალოგის გზით, რომლის მიზანიც იქნება რაც შეიძლება ფართო კონსენსუსის მიღწევა. ამ კონსენსუსის მიღწევა უნდა მოხდეს საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ის უნდა ეფუძნებოდეს ვენეციის კომისიის მოსაზრებებს, კომისიის როლი არ არის, დააწესოს კონკრეტული გადაწყვეტილება“, — ნათქვამია ჯანი ბუკიკიოს წერილში, რომელიც 25 ივლისით არის დათარიღებული. 15 ოპოზიციური პარტიის წერილი ვენეციის კომისიაში „ნაციონალური მოძრაობიდან“ გაიგზავნა. მიმართვაში ოპოზიციური პარტიები აღნიშნავენ, რომ საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი ჩიხშია შესული და ხელისუფლების მხრიდან წამოყენებული ულტიმატუმის გამო მოლაპარაკებების დაწყება ვერ ხდება.

წაღვერში ხანძარი ლოკალიზებულია!

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გუშინ სალამოს არჯევანიძის ტყეში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა ვერტმფრენისა და სახანძრო მანქანების საშუალებით მიმდინარეობდა.

მათივე ცნობით, სამუშაოებში მოხალისეებიც იყვნენ ჩართული. „ინტენსიურ რეჟიმში ადგილზე მუშაობდნენ ეროვნული სატყეო სააგენტოს მეტყევეები, მეხანძრე-მაშველები და მოხალისეები (ტყის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივები).

მობილიზებული იყო პოლი-

ციისა და სასწრაფო სამაშველო სამსახურის ეკიპაჟები. როგორც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფრომა თორნიკე გვაზავამ განაცხადა, ხანძრის ლოკალიზება რამდენიმე საათში მოხერხდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხანძრის კერების ჩაქრობა. ტერიტორიაზე გაკეთებულია მინერალიზებული ზოლები, რომელიც ხელს უშლის ხანძრის გავრცელებას“.

ხალხი რას არ იტყვის...

— ყველა ჩიტი ვერ ბულბულობს;
— ნებისმიერი ჩვენგანი, თუ მარტოა, ფიქრობს, რომ ის ნებისმიერი არ არის;
— მაგისი მე-20 საუკუნის ნუგეში ვიგრძენი 21-ე საუკუნეში;
— ცხოვრება წიგნიერად გვიკარნახებს, შეცდომები ჩვენ მოგვდის.
— თუ ერთობლივ ხანგრძლივ ცხოვრებაზე ეთანხმები, შენს საკუთარს ნუ შეიმოკლებ;
— დრო წყვეტს, ვინ არის მართალი, ეპოქა — ვინ არის დამნაშავე;
— მარტოობას ერთი უდავო უპირატესობება აქვს — ვერავინ ვერ მიგატოვებს;
— ნუ დაკარგავ ღირსებას, ველარ იპოვი;
— წლებთან ერთად ჯანმრთელობას გამოცდილება ცვლის;
— სამოქალაქო ქორწინება — სიყვარულია განუსაზღვრელი საგამოცდო ვადით;
— ყველა საშუალება კარგია, თუ ისინი შენ გეკუთვნის;
— ავადმყოფობათა თაიგული არ ჭკნება;
— თავი თუ არ გაბია, კისერს ადვილად ატრიალებ.

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 29 ივლისს

როგორ აფასებენ პოლიტიკოსები NDI-ის შედეგებს?

პოლიტიკური პარტიები NDI-ის კვლევის შედეგებს ეხმაურებიან. უმრავლესობა „ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს“ კვლავ არ ენდობა:

„ამით შეიძლება გარკვეული კრიტიკული ტენდენციების დანახვა. საბოლოო ჯამში ვიცით, რომ ხშირად ეს კვლევები რეალობას სცდება, აქედან გამომდინარე, კონკრეტული დასკვნების გაკეთება აქედან შეუძლებელია,“ — განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ NDI-ის კვლევით დასტურდება, რომ საზოგადოება უიმედოდაა განწყობილი.

„ვხედავთ, რომ ქვეყანა წინ ვერ მიდის, ვერანაირი კონტურიც ვერ იკვეთება, როგორ აპირებს ხელისუფლება, პრობლემები მოაგვაროს,“ — განაცხადა სალომე სამადაშვილმა. „ევროპულ საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ელენე ხოშტარია კი ამბობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს პრობლემებიდან გამოსვლის კონკრეტული გზა შესთავაზონ.

„არაფერი სიახლე ამაში არ არის, რომ ადამიანები დღევანდელი მთავრობით უკმაყოფილოები არიან,“ — განაცხადა ხოშტარიამ.

საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ძალიან ცოტა ადამიანმა იცის!

მათ, ვისაც სმენია საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, ფიქრობენ, რომ ეს პროცესი არ ასახავს მოსახლეობის ნებას, — აცხადებს NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი კვლევის შედეგებზე საუბრისას. ლორა ტორნტონის თქმით, აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ თვითმმართველობის რეფორმისა და საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ცოტა ადამიანია ინფორმირებული.

„ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კვლევამ აჩვენა, ეს არის ხალხის დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ. ირკვევა, რომ ცვლილებების შესახებ ძალიან ცოტა ადამიანია ინფორმირებული, მათ კი, ვისაც სმენია საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, ფიქრობენ, რომ ეს პროცესი არ ასახავს მოსახლეობის ნებას. ეს ნიშნავს, რომ ამ პროცესში სიჩქარე არასასურველია და უმჯობესია, თუ იქნება მეტი საჯარო განხილვა და მოსახლეობის ჩართულობა,“ — განაცხადა ლორა ტორნტონმა.

„გამგები გაიგებს, ვისაც არ უნდა, ვერ გაიგებს“!

პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო, რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, „გამგები გაიგებს, ვისაც არ უნდა, ვერ გაიგებს“.

„ძალიან მოკლე კომენტარს გავაკეთებ სეკულარიზმთან დაკავშირებით. პრემიერმა გააკეთა ამაზე განცხადება. საქართველოს აქვს მოქმედი კონსტიტუცია, მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კონსტიტუციური შეთანხმება, რომლითაც სათანადოდ მოწესრიგებულია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა. რაც შეეხება ევროკავშირთან სეკულარიზმის დაკავშირებას, ევროკავშირში არის ქვეყნები, სადაც არ არის განმტკიცებული სეკულარიზმის პრინციპი, არასეკულარული სახელმწიფოები მაინც არიან ევროკავშირის წევრები, შესაბამისად, რა კავშირშია სეკულარიზმი ევროკავშირში გაწევრიანებასთან, გაუგებარია. საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო, ეს დადგენილია კონსტიტუციით, კონკრდატით. რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, მან გააკეთა ძალიან მკაფიო განცხადება, გამგები გაიგებს, ვისაც არ უნდა გაგება, ის ბუნებრივია, ვერ გაიგებს ამ ყველაფერს“, — განაცხადა კობახიძემ.

პოროშენკოს „მრჩეველი“ ისევ ნაცისტურად არაკუნებს!

„ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე, ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდა. **„დღეს ჩვენი ქვეყანა იქცა ერთ დიდ ჭაობად. სახელმწიფო სტრუქტურებში გამეფებულია კორუფცია და ნეპოტიზმი. ქვეყანა დარჩენილია უპატრონოდ. მაღალჩინოსნებს ნაცვლად ქვეყანაზე და ხალხის გასაჭირზე ზრუნვისა, აქვთ მხოლოდ ერთი საზრუნავი, მოასწრონ, რაც შეიძლება მეტი ფულის შოვნა და მოიწყონ პირადი კომფორტი სანამ არიან თანამდებობებზე. „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობას წაართვა ის უკანასკნელი, რასაც იმედი და მოლოდინი ჰქვია. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყანაში კატასტროფულად გაზრდილი რუსული პროპაგანდა და ოკუპანტი ქვეყნის მხრიდან დაუფარავი აგრესია. ჰიბრიდული ომი, და, სამწუხაროდ „ქართული ოცნებისგან“ წახალისებული ფსევდოპატრიოტული ძალების არსებობა. მიგვაჩნია, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის, გამეფებული კორუფციის, ნეპოტიზმისა და უმოქმედობის წინააღმდეგ გამოსავალი არის ერთიანი ძალებით ბიძინა ივანიშვილთან და მის მარიონეტულ მთავრობასთან დაპირისპირება. გაერთიანება ღირებულებების და იდეის გარშემო, და არა კონკრეტული პიროვნებების ირგვლივ. „ქართული ოცნების“ საზრუნავი, გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა, ადვილად მიღწევადია, დახლეჩილი და დანაწევრებული პოლიტიკური პარტიების პირობებში. მმართველ გუნდს სურს, რომ ოპოზიციური პარტიები ვერასოდეს გაერთიანდნენ. არსებული მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, ერთადერთი გამოსავალი ხელისუფლების ცვლილებაა. მეორე, მესამე და შემდგომი ადგილებისათვის ბრძოლა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ყოველგვარ აზრს მოკლებულია. სწორედ ამიტომ ვიწყებთ დიალოგს პოლიტიკურ ძალებთან, რათა შევცვალოთ ხელისუფლება, რომელიც ეროვნულ ინტერესებს უგულებელყოფს. მოვუწოდებ ყველას, პროდასავლური ორიენტაციის მქონე პარტიას, გაერთიანებისკენ, რათა ერთად დავამარცხოთ ხელისუფლება.**

ბოლომდე დაგლუპავს შენ და შენს ყარტაყურტა ოპოზიციურ პარტიებს ასეთი მყრალი რიტორიკა, საცოდავად გაკოტრებულო ვაშაძევ!..

◎ სპანდალური პროგნოზი

რუსეთის გეგმაა 120-ათასიანი კორპუსის გატარება საქართველოს ტერიტორიაზე გიუმრის ბაზამდე

თუ 2008 წელს საქართველო იყო რუსეთის ნომერ პირველი მიზანი, ახლა საქართველო რუსეთს აინტერესებს როგორც დერეფანი — აცხადებს „პირველ რადიოსთან“ საუბარში თავდაცვის ექსმინისტრი დიმიტრი შაშკინი. თუმცა, შაშკინის თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ საფრთხე არ გვემუქრება. მისი თქმით, რუსეთის გეგმაა სომხეთში მდებარე გიუმრის სამხედრო ბაზამდე 120-ათასიანი კორპუსის გატარება საქართველოს ტერიტორიის გავლით, საქართველოს ტერიტორიაზე კი ამ მასშტაბის კორპუსის შემოსვლა ქვეყნის სრულ ოკუპაციას და დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს. შაშკინი ამბობს, რომ რუსეთს ახლა ირანი და ყარაბახი აინტერესებს და საკუთარი ინტერესებისთვის საქართველოს ტერიტორია სჭირდება. მისივე თქმით, ჩრდილოელი მეზობელი ახლა მოქმედებს სცენარით „ბე“, ვინაიდან მისი თავდაპირველი გეგმა — რკინიგზის გახსნა არ შესრულდა. შაშკინის თქმით, მცოცავი ოკუპაცია და ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მასშტაბური სამხედრო წვრთნები ამ გეგმის ნაწილია:

„რუსეთი გეგმაზომიერად ემზადება რეგიონში სიტუაციის ესკალაციისთვის. რუსეთის გენშტაბის მოსაზრებით, არსებობს ორი პოტენციური საშიშროება — ყარაბახი და ირანი. ამიტომ, რუსეთის ნომერ პირველი ამოცანა ახლა არის, მოამზადოს თავისი საოკუპაციო კორპუსი, რომელიც ცხინვალის რეგიონში იმყოფება, იმისათვის, რომ გაჭრას გზა რუსეთის ბაზაზე, რომელიც გიუმრიშია. გიუმრის ბაზა თამაშობს სტრატეგიულ როლს მთლიანად რეგიონში და ამ ბაზის მეშვეობით რუსეთს აქვს ძალიან დიდი ბერკეტი ხელში სიტუაციის დესტაბილიზაციის როგორც ყარაბახში, ასევე ირანში. აქედან გამომდინარე, ამ წვრთნების ჰიპოთეზა არის ალტერნატიული შეჭრის მარშრუტების შემოწმება არაოკუპირებულ ტერიტორიებზე. რუსეთი ამას არც მალავს. ეს მხოლოდ ჩვენს მთავრობას არ ესმის და ფიქრობს, რომ რადგან ჩვენ ვეფერებით რუსეთს, , რუსეთი თავს დაგვანებებს. სამწუხაროდ, რუსეთი თავს არ დაგვანებებს. რუსეთის მთავარი ამოცანა ახლა რეგიონში უკვე აღარ არის საქართველო. საქართველოში რუსეთმა მიაღწია სასურველს. დასვა თავისი მთავრობა და ამით აკონტროლებს სიტუაციას. რუსეთის ინტერესი რეგიონში არის ირანი და აზერბაიჯანი, კონკრეტულად კი ყარაბახი. აქედან გამომდინარე ამ სიტუაციაში საქართველო იჭყლიტება. თუ 2008 წელს საქართველო იყო რუსეთის ნომერ პირველი მიზანი, ახლა საქართველო რუსეთს აინტერესებს, როგორც დერეფანი თავის გიუმრის ბაზაზე, მაგრამ ჩვენთვის ეს არაფერს არ ცვლის. ეს ნიშნავს საქართველოს ოკუპაციას, დამოუკიდებლობის დაკარგვას. რადგან ჩვენ ვსაუბრობთ გიუმრიზე, ირანზე, ყარაბახზე, არავის არ უნდა ეგონოს, რომ საქართველო უსაფრთხოდაა. პირველ რიგში საქართველოში შემოდის საოკუპაციო ჯარი. თუ დავაკვირდებით, სად მიდის ე.წ. საზღვრის გადაწევა, დავინახავთ, რომ ეს ყველაფერი კეთდება არა შემთხვევითობის პრინციპით, არამედ გეგმაზომიერად, სამხედრო პრინციპებიდან გამომდინარე იმისათვის, რომ იყოს შექმნილი კონკრეტული პლაცდარმი, რომელიც საშუალებას მისცემს რუსეთს შეასრულოს თავისი ამოცანა და ეს ამოცანაა სახმელეთო გზის გაჭრა გიუმრის ბაზაზე ირანში ან ყარაბახში კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში. როდესაც დერეფანს ითხოვს რუსეთი, ის არ მოითხოვს ამას 500 და 1000 კაცისთვის. რუსეთის გენშტაბში დევს ეს გეგმა. ჩვენც ხომ ვმუშაობდით და ვიცით, ტყემალზე არ ვისხედით. რუსეთის გეგმაა 120-ათასიანი კორპუსის გატარება საქართველოს ტერიტორიაზე გიუმრის ბაზამდე. ამისთვის სჭირდებოდათ რკინიგზის გახსნაც. მთავარი, რასაც რუსეთი ითხოვდა 2012 წლის შემდეგ, ეს იყო რკინიგზის გახსნა. რკინიგზით შესაძლებელი იყო მომარაგება გიუმრის ბაზის. მაგრამ საერთაშორისო ზეწოლით, შიგნით ზეწოლით, რკინიგზა არ გაახსნევინეს საქართველოს მთავრობას, ამიტომ რუსეთი ახლა ემზადება სცენარით „ბე“.2012 წელს ამ მთავრობამ გააჩერა თბილისის თავდაცვის ზღუდეების მშენებლობა. ღმერთმა საქართველოს აჩუქა მონაკვეთი ნატახტარი-თბილისი, რომელიც რუსეთის არმიისთვის არის ძალიან რთული მონაკვეთი... თუ რუსეთი შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე და მოითხოვა დერეფანი, დამერწმუნეთ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობას დავკარგავთ. 120-ათასიანი კორპუსის გავლა, ეს ნიშნავს ქვეყნის ოკუპაციას. ეს მანქანა არ არის, 2 საათში გაიაროს და წავიდეს. ეს ჩვენ მთავრობას არ ესმის. ახლა პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა იყვნენ ანკარაში, ბაქოში, ვაშინგტონში და აგვარებდნენ პოტენციურ საშიშროებებს“, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

მცოცავი ოკუპაცია და საოკუპაციო ჯარის წვრთნები — კავშირი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტთან?

რუსეთის შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, რომელიც ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში მიმდინარეობს, პირდაპირ კავშირშია საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დაგეგმილ ვიზიტთან. ამის შესახებ „პირველ რადიოსთან“ საუბარში „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერმა პაატა დავითაიამ განაცხადა. დავითაიას თქმით, ეს არის ღია მესიჯი რუსეთის ფედერაციის მხრიდან:

„წვრთნების პერიოდში არაფერი ისეთი არ იქნება, მაგრამ ეს არის ძალის დემონსტრირება და მესიჯი რუსეთის მხრიდან — ჩვენ ყოველთვის მზადყოფნაში ვართ! მე ვფიქრობ, რომ მთავარი საფრთხე რაც შეიძლება იყოს, ეს არის საოკუპაციო ხაზის ისევ გადმოწევა“, — აცხადებს დავითაია და ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას მცოცავი ოკუპაციის შესაჩერებლად ბერკეტები გააჩნია როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო კუთხით. დავითაია დეტალებზე ღიად საუბრისგან თავს იკავებს და მზადყოფნას, გამოთქვამს ხელისუფლებას კონსულტაცია გაუწიოს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ცხინვალში

რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ჩავიდა. ცხინვალში დაგეგმილ შეხვედრებში შოიგუს უწყების წარმომადგენლები — **„სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობას განიხილავენ, საუბარია ე.წ სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შესვლის შესახებ“.**

რუსეთის დელეგაციას გენერალური შტაბის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ვალერი გაპტარი ხელმძღვანელობს. დელეგაცია სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის თანამდებობის შემსრულებელმა იბრაგიმ გასაევმა მიიღო. ოკუპირებულ ცხინვალში საოკუპაციო ჯარების გენერალური შტაბის ვიზიტი სამ დღეს გაგრძელდება.

იგორ გიორგაძე და მისი ლანდი: დაბრუნდება თუ არა ექსუშიშროების მინისტრი საქართველოში?

რამდენიმე კვირის შემდეგ, სასამართლო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ყოფილი უშიშროების მინისტრის იგორ გიორგაძის საქმეზე, რომელსაც ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ 1995 წლის ტერაქტში ედებოდა ბრალი. თუმცა არა მხოლოდ. მასვე ედავებოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თამჯდომარეს გია ჭანტურიას მკვლელობასაც.

იგორ გიორგაძე, 1995 წლის შემოდგომაზე, ვაზიანის რუსული (იმ დროს) სამხედრო ბაზიდან გაიქცა მოსკოვში. ამის შემდეგ მის წინააღმდეგ საქმეც აღიძრა უმძიმესი მუხლებით. თუმცა, საქართველოს პროკურატურამ ვერ მოახერხა ექსმინისტრის ექსტრადირება. „ინტერპოლმა“ კი გიორგაძის „ძებნა“ ახლახან შეწყვიტა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს 22 წელი გავიდა. გარდა ამისა, როგორც თავად პროკურატურა აღიარებს, 1995 წლიდან – დღემდე არანაირი ახალი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს. ხოლო „ძველი მტკიცებულებებიდან“ – „პირდაპირი სამხილები“ არ ჩანს.

ედუარდ შევარდნაძის უშუალო „ამფეთქებლები“ და გია ჭანტურიას მკვლელები იმ დროს თითქმის ყოვლისშემძლე შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ ლიდერები და მებრძოლები იყვნენ! მათ შორის ჯაბა იოსელიანის მოადგილეები – თემურ ხაჩიშვილი და გიგა გელაშვილი. ორივე მათგანი რამდენიმე წლის შემდეგ პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეიწყალა.

გია ჭანტურიას ქვრივმა ირინა სარიშვილმა, ვინც თავდაპირველად უშიშროების მინისტრს ადანაშაულებდა ქმრის მკვლელობაში, შემდეგ აღიარა, რომ საქმეში არანაირი მტკიცებულებანი არ დევს და იგორ გიორგაძეს ჭანტურიას მხეცური ჩაცხრილვის ორგანიზებაში (მაშინ თვით სარიშვილიც მძიმედ დაიჭრა) მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა ეს აღიარება დიდი ხნის შემდეგ მოხდა – უკვე სულ სხვა პოლიტიკურ ეპოქაში.

* * *

არა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს, არამედ მიხეილ სააკაშვილსაც ძალიან არ უნდოდათ გიორგაძე თბილისში, რადგან ექსუშიშროების მინისტრი კრემლის პოლიტიკის გამტარებელი იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, გიორგაძემ თბილისში მიტინგებიც კი მოაწყო „პრორუსული ლოზუნგებით“. ამის საპასუხოდ, მიშამ და ვანომ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და იგორ გიორგაძის ცოლის დისშვილი, სამი შვილის დედა მაია თოფურია აიყვანეს მძევლად – დააპატიმრეს აშკარად შეთითხნილი ბრალდებით, თითქოს ეს გოგო სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა და სახლის სარდაფში იარაღის საწყობი ჰქონდა.

ამგვარი ფეიკური ბრალდებები არა ძალის, არამედ ხელისუფლების სისუსტისა და შიშის გამოვლინება იყო.

მაგრამ დავანებოთ თავი პოლიტიკურ აქცენტებს. ან იმას, რა გავლენა ექნება იგორ გიორგაძეს საქართველოში დაბრუნების შემდეგ. რასაკვირველია, ნულოვანი, რადგან „ოცნება“ მას ახლოს არ გაიკარებს გასაგები მიზეზების გამო – რათა ვინმე არ „აალაპარაკოს“.

ამჯერად მაინც უფრო საინტერესოა, თუნდაც დროითი დისტანციიდან გავიხსენოთ რა მოხდა საქართველოში 1995 წელს და საიდან მოვედით – დღემდე:

* * *

1995 წლის 29 აგვისტოს, კონსტიტუციის მიღებიდან ოთხი დღის შემდეგ, ქართული პოლიტიკური ბომონდი და „ელიტარული ინტელიგენცია“ – „მოსწავლეთა სასახლეში“ შეიკრიბა, სადაც უნდა გამართულიყო კონსტიტუციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი.

ელოდნენ მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც სულ მალე უნდა მოსულიყო მანქანით. მოულოდნელად, პარლამენტის შენობის (იმელის) მხრიდან მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა და ცაში შავი კვამლის სვეტი ავარდა. როგორც შემდგომ გაირკვა, აფეთქდა თეთრი ფერის „ნივა“. იგი პარლამენტის ეზოში, ავტოსადგომზე იდგა; ცეცხლი წაეკიდა ედუარდ შევარდნაძის მანქანასაც. სახელმწიფოს მეთაური სულ რამდენიმე წამით ადრე გამოიყვანეს ალმოდებული ავტომანქანიდან, რომელიც მაშინვე მთლიანად დაიწვა.

პირადი დაცვის წევრებმა ედუარდ შევარდნაძე „ჟიგულში“ გადასვეს და რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. შევარდნაძე სერიოზულად არ დაშავებულა, მხოლოდ შუშის ნამსხვრევები შეესო სახესა და მკერდში. როგორც შემდგომ გაირკვა, კონტუზიაც კი არ მოსვლია. თანმხლებნი ვახტანგ რჩეულიშვილი და პეტრე მამრაძე გაცილებით სერიოზულად დაშავდნენ.

პოლიტიკური თვალსაზრისით, შევარდნაძემ ეს აფეთქება ბრწყინვალედ გამოიყენა იმ დროს მთავარი მოწინააღმდეგის – „მხედრიონის“ გასანადგურებლად: რამდენიმე დღის შემდეგ „აიყვანეს“ გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი, შემდგომ სხვა „მხედრიონელები“ და ბოლოს თვით ჯაბა იოსელიანიც.

აფეთქება ბრალად ედებოდა გიგა გელაშვილს, რომელმაც „ღილაკს თითი დააჭირა“. სხვა ბრალდებულები იყვნენ იგორ გიორგაძის მოადგილე თემურ ხაჩიშვილი და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც ამ უწყებაში მოხვდნენ თემურ ხაჩიშვილთან ერთად, ანუ იგივე „მხედრიონელები“; თუმცა, მათ შორის თითო-ოროლა „ჩვეულებრივი თანამშრომელიც“ იყო. ისინი (როგორც თავად აცხადებდნენ) „ბრძანებებს ასრულებდნენ“.

გამოძიება ამტკიცებდა, რომ „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი თავიდან ბოლომდე საქმის კურსში იყო, თუ რა მზადდებოდა და როგორ;

იგულისხმება არა მარტო სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმა, არამედ გია ჭანტურიასა და სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა და სხვა ტერორისტული აქტები.

თვით ჯაბა იოსელიანი ამას კატეგორიულად უარყოფდა. მისი მტკიცებით, მან არც ერთი ტერაქტის შესახებ არაფერი იცოდა, არც ბრძანება გაუცია და არც ვინმესთვის დაუვალებია სახელმწიფოს მეთაურის (აგრეთვე გია ჭანტურიას, სოლიკო ხაბეიშვილის) ლიკვიდაცია.

დააკვირდით: იგი არ ამტკიცებდა, სხვა „მხედრიონელები“ არაფერ შუაში არიანო. მხოლოდ იმის დადასტურებას ცდილობდა, რომ თვითონ არაფერი არ იცოდა.

ყველაზე საინტერესო მომენტი მთელ ამ ამბავში იგორ გიორგაძის როლია. „საინტერესო“ იმდენად, რამდენადაც ცხადს ხდის მომხდარის მოტივაციას და შინაგან მექანიზმს.

იყო თუ არა იგორ გიორგაძე ტერორისტული აქტის (აქტების) ორგანიზატორი? წინასწარი გამოძიებისას, „მხედრიონელები“ სწორედ მას „ადებდნენ ხელს“ და ამტკიცებდნენ, იგორ გიორგაძე ყველა ტერაქტის უშუალო ორგანიზატორიაო.

რატომ ხდებოდა ასე? რატომ ცდილობდნენ „მთავარ ორგანიზატორად“ სწორედ გიორგაძე გამოეცხადებინათ და შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მისი „ყურმოჭრილი მონები“ იყვნენ ყველანი, ამდენად ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ?

იგორ გიორგაძე ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული „კგბ“-ს მუშაკი იყო. სტანდარტულ ვითარებაში, საბჭოთა კავშირის დროს, იგი რომელიმე რაიონის „კაგებეს“ უფროსის თანამდებობაზე „მაღლა“ ვერ წავიდოდა, მაგრამ დრომ და გარემოებამ საქართველოს სპეცსამსახურის ხელმძღვანელად აქცია.

იმ სპეცსამსახურისა, რომელსაც, ფაქტობრივად, „მხედრიონი“ მართავდა! **წარმოუდგენელია, ისეთი „მგლები“, როგორებიც გიგა გელაშვილი, თემურ ხაჩიშვილი და სხვა მხედრიონელები იყვნენ – იგორ გიორგაძის „ყურმოჭრილი მონები“ ყოფილიყვნენ.**

ვისაც ამ სისულელის სჯერა, უბრალოდ წარმოდგენა არა აქვს, რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში მაშინ: **რეალურად, გიორგაძე მათ უფრო „კრიშად“ სჭირდებოდათ, ხოლო მისი ბრძანებები და მითითებები სასაცილოდაც არ ეყოფოდათ,** თუ მათი აღსრულება „მხედრიონის“ ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

მაშ, რატომ აქციეს იგორ გიორგაძე „ცენტრალურ ფიგურად“ – იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარი პასუხისმგებლობა შეემსუბუქებინათ და პოლიტიკური ბრძოლის მსხვერპლად წარმოეჩინათ თავი?

იგორ გიორგაძის დანაშაული უეჭველად ისაა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყება ფაქტობრივად უკონტროლო კრიმინალურ ბანდად იქცა, ხოლო იგი ამის გამო „ყურსაც არ იბერტყავდა“.

„მხედრიონთან“ დაპირისპირებისთვის გიორგაძეს არც უნარი ჰქონდა, არც შნო და იქნებ არც სურვილი, ვინაიდან **არ ეთანხმებოდა ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფოებრივ კურსს და სულაც არ ინაღვლებდა, თუ ტერორისტული აქტი საბოლოო შედეგს მიაღწევდა.**

შესაძლოა, მას მართლაც ჰქონდა მოსკოვიდან მიღებული შესაბამისი ბრძანება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. უმთავრესი საკითხია „ცენტრალური სუბიექტის“ გარკვევა იმდროინდელ შეთქმულებაში.

იგორ გიორგაძე „მხედრიონის“ ლიდერებმა სპეციალურად აქციეს „ცენტრალურ სუბიექტად“, რაკი მიხვდნენ: სწორედ ეს შეესაბამებოდა პოლიტიკურ კონიუნქტურას. სინამდვილეში, გიორგაძე საერთოდ სიმბოლური ფიგურა (თუმცა, ყველაფერს ხვდებოდა და იცოდა), ან მხოლოდ „რიგითი“ წევრი იყო იმ შეთქმულებისა.

მისი იმიჯის დამძიმებას ხელი შეუწყო თვით იგორ გიორგაძის სიტყვებმა: **რუსეთში გადახვეწის მერე მან ისეთი ინტერვიუების ბეჭდვა დაიწყო, რომელშიც იგი მართლა წარმოჩინდა „რუხ კანდიდატად“ და შეთქმულების მთავარ ორგანიზატორად.**

გაცილებით ჭკვიანური იქნებოდა (გიორგაძის მხრიდან) სადმე სოროში შემძვრალიყო და მისი ხმა არავის გაეგო. რაც შეეხება 29 აგვისტოს ტერაქტს: **ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ დივერსიის მთავარი ორგანიზატორი იყო „მხედრიონის“ ელიტა, რომელიც მიხვდა: პოლიტიკური ვითარების სტაბილიზების კვალობაზე, ხელისუფლება უეჭველად შეეცდებოდა ამ დაჯგუფების განადგურებას, ვინაიდან არც ერთი ხელისუფლება „მხედრიონის“ მსგავსი ფენომენის არსებობას სახელმწიფოში არ მოითმენდა.**

ამიტომ **„მხედრიონის“ მიზანი იყო არა პოლიტიკის ან სახელმწიფოებრივი კურსის შეცვლა (სინამდვილეში მათ პოლიტიკა არასდროს აინტერესებდათ), არამედ სახელმწიფოში ანარქიისა და დესტაბილიზაციის პროვოცირება,** ვინაიდან მხოლოდ ასეთ პირობებში შეძლებდნენ პოზიციის შენარჩუნებას, აგრეთვე 1994-1995 წლების რეიდების დროს დაპატიმრებული „მხედრიონელების“ ციხიდან გამოშვებას.

ჯაბა იოსელიანისთვის, შესაძლოა, მათ არც არაფერი უკითხავთ, ვინაიდან იგი იმ დროისათვის უკვე ისეთივე „კრიშა“ და სიმბოლური ფიგურა იყო, როგორც იგორ გიორგაძე; თუმცა „საქმის კურსში“ ჯაბა მაინც იყო, ოღონდ ისევე არ შეეძლო რამეს შეცვლა, როგორც იგორ გიორგაძეს და არც სურვილი ექნებოდა ამისა.

ნიკა იმნაიშვილი

მააფხაზება — ეთნოწმენდის პარალელურად...

რას მოიტანს გალელების „ისტორიულ ფესვებთან დაბრუნება?!“

სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონში ქართველთა ეთნოწმენდის ახალი ტალღის პარალელურად ადგილობრივთა გააფხაზება წამოიწყო. რაიონის აფხაზური ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თემურ ნადარაიას თაოსნობით ყველაფერი კეთდება, რათა ეთნიკურმა ქართველებმა გვარი გადაიკეთონ და „ფესვებს დაუბრუნდნენ“.

19 ივლისს, გალის 85 წლისთავის აღნიშვნის ფარგლებში რაიონის კულტურის სახლში „სამურზაყანოელ აფხაზთა“ პირველი, დაახლოებით 120-კაციანი ყრილობა გაიმართა. მონაწილეთა უმრავლესობას გალის რაიონის 40-მდე გვარის წარმომადგენლები შეადგენდნენ. მათთან შესახვედრად რაიონში ჩავიდნენ იმავე გვარების წარმომადგენლები აფხაზეთის სხვა, მათ შორის დასავლეთი რაიონებიდან.

ყრილობის ორგანიზატორი 2014 წელს დაფუძნებული „სამურზაყანოელ აფხაზთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია“ გახლდათ, რომელსაც თენგიზ ინალ-იპა ხელმძღვანელობს.

როგორც ამ უკანასკნელმა ღონისძიებაზე განაცხადა, „ამ დროისთვის არსებობს დაზუსტებული მონაცემები 40 შეცვლილი აფხაზური გვარის შესახებ, ბევრია ასევე სადავო გვარიც, ამდენად, უახლოეს მომავალში იგეგმება მუშაობის დაწყება აფხაზეთის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტის სპეციალისტებთან აფხაზური ფესვების მქონე სხვა გვარების დასადგენად“.

„სამურზაყანოელ აფხაზთა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ“ 4-პუნქტიანი რეზოლუცია მიიღო, რომელშიც, ფაქტობრივად, რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა შევიწროებაა დაანონსებული და შესაბამისი გეგმაცაა გაწერილი.

კერძოდ, დოკუმენტის პირველ პუნქტში ვკითხულობთ:

„ჩვენ, სამურზაყანოელ აფხაზთა ორგანიზაციის წევრები, მივმართავთ აფხაზეთის აღმოსავლეთ რაიონების ყველა მცხოვრებს, რომელთა გვარები და ეროვნება სტალინისა და ბერიას დროს შეიცვალა და რომლებიც ძალადობრივ ასიმილაციას დაექვემდებარნენ, გაიხსენონ საკუთარი ფესვები და მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ ქვეყნის მომავლის საკეთილდღეოდ ამ ფესვებთან დასაბრუნებლად“.

მომდევნო სამ პუნქტში რეზოლუციის ავტორები დე ფაქტო პარლამენტს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას სთხოვენ, რათა „სამურზაყანოელი აფხაზებისთვის“ გვარისა და ეროვნების შეცვლა გამარტივდეს, ხოლო დე ფაქტო პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს მიმართავენ თხოვნით, „სამურზაყანოელი აფხაზების“ შთამომავლებს მაქსიმალური კომფორტი შეექმნათ აფხაზურ საზოგადოებაში სწრაფი და გამარტივებული ინტეგრირებისთვის, კერძოდ, გაიხსნას სკოლები, სადაც ისინი აფხაზურ ენაზე სწავლას შეძლებენ..

აღსანიშნავია, რომ ეს ყრილობა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს, დეკემბერში დაიგეგმა, როდესაც გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის უფროსი თემურ ნადარაია „სამურზაყანოელ აფხაზთა ორგანიზაციის“ წარმომადგენლებს შეხვდა. იმავე დროიდან გალის რაიონში მოსახლეობის გააფხაზების მიმართულებით აშკარა გააქტიურება დაიწყო.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაცია ყრილობის მიმართვას მყისიერად გამოეხმაურა. როგორც დე ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველმა ვლადიმერ ზანთარიამ განაცხადა, რაულ ხაჯიმბა შესაბამის ბრძანებულებას უახლოეს პერიოდში გამოსცემს.

დე ფაქტო ხელისუფლებას კვერი დაუკრა აფხაზმა ანალიტიკოსმა **ბოტა ავჯიბამ:**

„თუ ადამიანს სურს, ისტორიულ ფესვებს დაუბრუნდეს, მისთვის უარის თქმა დაუშვებელია — ეს ანტიაფხაზური პოლიტიკა იქნება. როგორ შეიძლება, უარი უთხრა ქეცბაიას, ეზუგბაიას ან ზუხბას?! ეს წმინდა სისხლის აფხაზური გვარებია. 70 განცხადება უკვე არსებობს. ინტეგრაციის ეს პროცესი უნდა გაღვივდეს“.

პარალელურად რუსულენოვანი აფხაზური ინტერნეტ-პორტალები მთელი მონდომებით ცდილობენ, დაარწმუნონ მკითხველი, რომ ისტორიული სამურზაყანოს, ანუ დღევანდელი გალის რაიონის მოსახლეობას აფხაზები შეადგენდნენ.

ასე, მაგალითად, **ალისა არგუნმა** ინტერნეტ-პორტალ „სუხუმ-მოსკვა“-ზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ვკითხულობთ:

„დაწყებულია სამოქალაქო პასპორტების შეცვლის პროცესი. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ბევრ მოქალაქეს კიდევ ერთი შანსი მიეცემა, დაიბრუნოს ძირძველი გვარი, რომელიც ქართველურ ყაიდაზე საბჭოთა პერიოდში შეიცვალა. მეცნიერები სწავლობენ ამ საკითხს და არსებობს კიდეც 500-ზე მეტი გვარის სია მათი სწორი ტრანსკრიპციით. მაგრამ თავად შეცვლილი გვარების მატარებლები ისტორიული სამართლიანობის აღდგენას არ ჩქარობენ“.

სტატიის ავტორი ამცნობს მკითხველს, რომ „როგორც ყველამ ვიცით ისტორიიდან, დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაში აფხაზური გვარები ქართულ ყაიდაზე გადაკეთდა, აფხაზები კი ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეეწინააღმდეგნენ ამ პროცესს და შეეგუენ“. თუმცა ამ მიზეზებს იგი, ცხადია,არ აკონკრეტებს.

აფხაზები. XIX საუკუნე

ეთნოგრაფი პეტრე ჭარაია 1897 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში წერდა, რომ „სამურზაყანოელები იგივე მეგრელები არიან და მიუხედავად იმისა, რომ ეს ბევრს არ სჯერა, სახლებული.

„აქცენტმა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისტორიული ცნობები მოიძია: XVII საუკუნის ბოლოს, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის გამართული შიდაფეოდალური ომების შედეგად აფხაზთა მთავრებმა სამეგრელოს ნაწილი დაიპყრეს და აქ აფხაზების საგანგებოდ ჩამოსახლება დაიწყეს. ეს პროცესი კარგადაა ასახული ქართულ, ძირითადად დოკუმენტურ, ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში.

კერძოდ, როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, XVII საუკუნის ბოლოს აფხაზთა მთავრები იპყრობენ სამეგრელოს ნაწილს მდინარეებს კოდორსა და ენგურს შორის და მას აფხაზეთის სამთავროს უერთებენ. ეს ის მიწა-წყალია, რომელიც სამურზაყანოს სახელწოდებითაა ცნობილი. ამ დროიდან იწყება ამ მხარის „გააფხაზებაც“.

განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები აქ აფხაზების საგანგებოდ ჩამოსახლების შესახებ. XIX ს-ის ბოლოს სოფ. ბედიაში ნაპოვნ, შემდგომ, უკვე მე-20 საუკუნეში გაზეთ „კვალში“ (1987 წ. №20) გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელიც XIX ს-ის ათიან წლებში უნდა იყოს შედგენილი, ვკითხულობთ, რომ XVII საუკუნეში ძმებმა როსტომ, ჯიქეშია და ყვაპუ შერვაშიძეებმა აფხაზეთის სამთავროში სამფლობელოები გაიყვეს. როსტომს ერგო ტერიტორია მდ. ბზიფიდან მდ. კოდორამდე, ჯიქეშიას — მდ. კოდორიდან მ. ღალიძგამდე, ხოლო უმცროს ძმას, ყვაპუს — მდ. ღალიძგადან მდ. ენგურამდე, რომელიც რთული დროის გამო შედარებით უდაბური იყო. ამიტომაც ყვაპუმ აქ ბზიფიდან, ანუ უფროსი ძმის მფლობელობაში არსებული მიწებიდან დიდგვაროვანთა რამდენიმე გვარის, კერძოდ ანჩაბაძეების, ემუხვარების, ინალიშვილების, მარღანიების, ზვამბების, ლაკერბაიების და აკირთავების წარმომადგენლები ჩამოასახლა.

როგორც ისტორიკოსი ზურაბ ანჩაბაძე აღნიშნავდა, სამურზაყანოში აფხაზების უმნიშვნელო რაოდენობა იქნა ჩენა — ეს უმთავრესი ნიშანი ეროვნებისა — ამტკიცებს ამას“:

„მთელს სამურზაყანოში მეგრულად საუბრობენ. იმის დასავლეთ ნაწილში, უფრო მთა-გორიან ადგილებზე, აფხაზურიც იციან, ხოლო სამურზაყანოს შუა და უფრო აღმოსავლეთ ნაწილში აფხაზურისა არა გაეგებათ რა სრულიად“ (პეტრე ჭარაია, გაზეთი „კვალი“, 1897, გვ. 218. მიწათ-მფლობელობა აფხაზეთში).

ისტორიკოსი ზურაბ პაპასქირი მოგვითხრობს, რომ დღევანდელ აფხაზთა წინაპრების მოწოლა იწყება XVI-XVII საუკუნეებში, განსაკუთრებით — მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მათ სოხუმიდან ენგურამდე ტერიტორია დაიკავეს, ამოწყვიტეს ძალიან ბევრი ადგილობრივი მოსახლე, ძირითადად მეგრელები. ბევრმა გაქცევა შეძლო და სამეგრელოში დაფუძნდა, დიდი ნაწილი კი დაყიდეს:

„ამას ოფიციალურად ადასტურებენ აფხაზი შარვაშიძეები, მაგალითად, ხვაბ შარვაშიძე, რომელმაც დაიპყრო მთელი ეს ტერიტორია და, ფაქტობრივად, სამურზაყანოს ჩაუყარა საფუძველი. მისი ვაჟი - მურზაყან შარვაშიძე აფხაზეთის კათოლიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს სწერდა: „მე დავყიდე ხალხი და აწი მე უთქვენოდ არ გავყიდი მათ“. ქართული ეკლესია ამ ხალხის გაყიდვის პროცესს ებრძოდა“.

ასეთ ჩანაწერს ვხვდებით ამ პროცესებთან დაკავშირებით **ვახუშტისთან: „მოვიდოდიან და დაეშენებოდიან“.**

„სამურზაყანომდე, დაახლოებით სოხუმიდან ღალიძგამდე ტერიტორია მათ ისე აითვისეს, რომ იქ ჩარჩენილი მეგრული მოსახლეობა გააფხაზდა. მაგრამ უკვე აქეთ რომ წამოვიდნენ და სამურზაყანოს რეგიონი დაიკავეს, ძირითადად აზნაურული გვარების წარმომადგენლები იყვნენ და თავიანთი გლეხებიც ჩამოიყვანეს. ისინი გაითქვიფნენ მეგრულ მოსახლეობაში და თვითონაც გამეგრელდნენ. ძალით არავინ არავის გაუმეგრელებია, არავის გაუქართველებია. აჩბა გახდა აჩბაია, ამარშანი — მარშანია... ანუ მეგრული დაბოლოებები მიიღეს და ჯამში მივიღეთ მეგრელ-აფხაზები. დღევანდელი სამურზაყანოს აფხაზური წარმომავლობის მოსახლეობა აბსოლუტურად ქართული მენტალობისაა. მათ იციან, რომ აფხაზური ფესვებიდან მოდიან და ამას სიამაყით ამბობენ. მათ არ რცხვენიათ ამის, განსხვავებით იმ გააფხაზებული მეგრელებისგან, რომლებიც ყველანაირად ებრძვიან საკუთარ ფესვებს. ჩვენ შორის სწორედ ეს განსხვავებაა: ჩვენ ერთობისკენ ვართ, ისინი კი — პირიქით, ამ ერთობის წინააღმდეგ. არც ის პროცესი იყო ძალით გამეგრელება, არც ეს პროცესი იყო ძალით გაქართველება — ეს ცხოვრებამ, პოლიტიკურმა, სოციალურმა ვითარებამ მოიტანა. ვიღაცის ჩაწერა აფხაზად, ვიღაცის — ქართველად ძალით არასდროს ხდებოდა, თვით ლაკობას (ნესტორ ლაკობა - აფხაზეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი) პერიოდშიც კი. უბრალოდ ლაკობას დროს ხდებოდა ამ პროცესის წახალისება: ეუბნებოდნენ, აი, შენ თუ აფხაზი გახდები, აფხაზად დაეწერები, ესა და ეს სიკეთე გექნებაო... ეს პროცესი განსაკუთრებით მძლავრი იყო სწორედ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში. ამ დროს აფხაზებისთვის განსაკუთრებით კომფორტული პირობები შეიქმნა. მათ ყველაფერი გარანტირებული ჰქონდათ: კარგი სამსახური, ბინა... აქ ქართველებსაც წასძლიათ სულმა, მაგრამ საუბარია ძალიან მცირე რაოდენობაზე. ამგვარად, დღევანდელი გააფხაზებული მეგრელების დიდი ნაწილი — 99 % ბუნებრივად, კონიუნქტურიდან გამომდინარე გააფხაზდა... ახლა აფხაზები სპეკულირებენ ამით. მათ ძალიან უნდათ გალის მოსახლეობის ინტეგრირება, მაგრამ არა როგორც ქართული მოსახლეობისა. ეუბნებიან, „თქვენ ხომ აფხაზები ხართ? თქვენს აფხაზურ ფესვებს უნდა მოუბრუნდეთ, ახალი აფხაზეთი უნდა შექმნათ და ყველა პირობა გექნებათ, დაიკავოთ მოწინავე პოზიციები, ოღონდ ამისთვის უნდა გააფხაზდეთო“ ... და ეს გააფხაზება რით უნდა დაიწყოს? - იმით, რომ, მაგალითად, ზუხბაია გახდეს ზუხბა... მეორე ეტაპი უკვე მეგრული გვარის მქონე ადამიანების, ანუ უკვე ქართული გვარების მატარებლების გააფხაზება იქნება. თუ ერთი 30 წელი კიდევ დავრჩით ასე და არაფერი შეიცვალა ამ კუთხით, ეს პროცესიც წავა და გალის მოსახლეობას მთლიანად დავკარგავთ“ — თვლის ზურაბ პაპასქირი.

ანალიტიკოსი ლევან გერაძე ამბობს, რომ გალის რაიონი დე ფაქტო აფხაზური ხელისუფლებისა და სეპარატისტების ეფექტურ კონტროლს არასოდეს ექვემდებარებოდა და ზემოთქმული „კიდევ ერთი მცდელობაა, ამ რეგიონზეც დაამყარონ სრული კონტროლი“.

„ამასთანავე, ეს არის მცდელობა, მყარად დაფიქსირდეს ე.წ. საზღვარი საოკუპაციო ხაზზე და მთელი აფხაზეთი მოსწყდეს ქართულ, ეროვნულ სივრცეს“.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, „ეს ნაბიჯი აღიქმება, როგორც მოსახლეობაზე ზეწოლის დამატებითი ინსტრუმენტი და აბსოლუტურად შეუთავსებელია ყველანაირ ჰუმანურ და ცივილურ პრინციპსა თუ ნორმასთან“.

„დაუშვებელია, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა ებმოდეს მისი იდენტობის ცვლილებას, იდენტობაზე უარის თქმას. კიდევ უფრო კონფრონტაციული ხდება სიტუაცია, კიდევ უფრო მძიმდება ადამიანების მდგომარეობა ადგილზე“ — აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი დარწმუნებულია, რომ ადგილობრივები „ძალიან კარგად ხვდებიან, ვისთან და რასთან აქვთ საქმე, რა ტიპის ოკუპანტთან“.

„თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო ფუჭდება. ამ ფონზე აფხაზები ძალიან წარმატებით აკეთებენ საკუთარი ხელით რუსულ საქმეს“!..

ახალი ამგეგის სააგენტო „აქცენტი“

მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით

მოდით, ვიფიქროთ მასშტაბურად!..

თუ გონებას გავინთავისუფლებთ ყოველდღიური წვრილმანებისგან და უსარგებლო ნაგვისგან, აღმოვაჩენთ, რომ სამყაროშიც და ჩვენს აზროვნებაშიც, ბევრად უფრო საინტერესო თემები არსებობს, ვიდრე არაფრისმაქნისი პოლიტიკა, და ამ პოლიტიკაში ჩვენი „არამკითხე“ თანამონაწილეობაა. ცხადია, პოლიტიკა დღევანდელი ეპოქის ადამიანთა ყველაზე საინტერესო თამაშია, მაგრამ მოდით, უფრო მასშტაბურად ვიაზროვნოთ...

ალბათ გახსოვთ მშვენიერი ფანტასტიკური ჟანრის ფილმი – „მამაკაცები შავებში“, და იქ წარმოდგენილი ეგზოტიკური, უცხო სამყაროებიდან ჩამოსული უამრავი „ტურისტი“ მოგზაური. უნდა ვიფიქროთ, რომ რეალურად დადგება დრო, როცა ერთბაშად და მასობრივად, დედამიწაზე უამრავ უცხოპლანეტელს შევეგებებით.

და რატომ არ ხდება დღეს მსგავსი კონტაქტი? რატომ არ გვიკავშირდება უცხო ცივილიზაციებიდან არავინ?

იმიტომ, რომ ჯერ ადრეა. მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება – ერთბაშად და მასობრივად.

ჩვენს სამყაროში, ყველა ცივილიზაცია, დაახლოებით ერთნაირად ვითარდება დროში. სიცოცხლის „დაბადებას“ და კოსმოსის „გამრღვევი“ ცივილიზაციის განვითარებას მილიარდობით წლები სჭირდება. ვფიქრობ, რომ სიცოცხლის დაბადება ყველა სასიცოცხლოდ ვარგის პლანეტაზე (და ასეთი, მათემატიკური ლოგიკით, სამყაროში უამრავია), ყველგან დაახლოებით ერთდროულად მოხდა. ე.ი. ყველა ცივილიზაცია დღეს განვითარების ერთ დონეზეა. გავიხსენოთ, ჩვენ ხომ სულ „ცოტა ხნის“ წინ ვიქეცით ველური არსებიდან, მოაზროვნე ადამიანად! „ცოტა ხნის“ წინ ერთმანეთს ქვებს, შუბებს და მშვილდ-ისარს ვესროდით, ახლა უკვე ფრთოსან რაკეტებს ვიყენებთ საამისოდ... ე.ი. არასრულფასოვნად, მაგრამ მაინც ვვითარდებით! შორეული გადმოსახედიდან კი, რეალურად, ჯერ კიდევ ნამდვილი ველურები ვართ.

რამდენი წლის ვართ? ბაბილონელები და ბერძნები თვლიდნენ, რომ სამყარო მარადიული და უცვლელია, ხოლო ინდუსმა ქრონოლოგებმა ჩვ.წ. აღიცხვამდე 150 წელს „დაადგინეს“, რომ სამყაროს ასაკი ზუსტად 1 972 949 091 წელია...

დიდი აფეთქების თეორიის მიხედვით, სამყაროს ასაკი 14 მილიარდი წელია: გალაქტიკების ევოლუცია აფეთქებიდან 9 მლრდ წელი გაგრძელდა; მზის სისტემის ფორმირებას, საწყისი პროცესებიდან, 13 მლრდ წელი დასჭირდა; პლანეტებზე სიცოცხლის ჩასახვა კი მხოლოდ 4 მილიარდი წლის წინ დაიწყო. ჰოდა, ვინც განვითარებაში და გონიერებაში აჯობებს, და ერთმანეთს არ ამოხოცავს, ის იქნება პირველი უცხოპლანეტელი სტუმარი სხვა „ცოცხალ“ პლანეტაზე.

ამასობაში მეცნიერებმა აქამდე ცნობილ, „ცოცხალი“ პლანეტების სიას ერთბაშად 715 ახალი პლანეტა დაამატეს. ჩვენთვის ცნობილი პლანეტების სია კი ამჟამად 1700-ია. ბევრი მათგანი მშობელი ვარსკვლავისგან სწორედ იმ ოპტიმალურ მანძილზე მდებარეობს, რაც სიცოცხლის განვითარების საშუალებას იძლევა. ალბათ იქაც, ჩვენსავით ნელ-ნელა ვითარდებიან, მაგრამ კოსმოსი ჯერ არავის გადაულახავს.

მზის სისტემის ირგვლივ უსასრულობაა. ჩვენ ჯერ ისიც არ ვიცით, სად მთავრდება მზის სისტემა - მსოფლიოს კოსმოლოგიური ცენტრები, სამეცნიერო საზოგადოებები, ნასა და ა.შ. ამ კითხვაზე პასუხს ვერ იძლევიან. მზის სისტემის გამრღვევი ერთადერთი „ხელთქმნილი“ ობიექტი, „ვოიაჯერ – 1“ ახლა სადაა, არავინ იცის. ითვლება, რომ ტექნიკურად ისევ აქაა – „სისტემაში.“ მაგრამ, დაახლოებით 100 წელიწადში, როგორც ვარაუდობენ, ადამიანი უკვე შორეულ კოსმოსში იფრენს. და დედამიწაზე პირველი დონის ცივილიზაცია შეიქმნება, პლანეტარული ენერგიის სრული (100%-ის) მომხმარებელი, რომლის განადგურება, ან თვითგანადგურება უკვე შეუძლებელი იქნება.

საინტერესო თავგადასავლების ეპოქა იწყება, თუ როგორმე ადამიანთა ველურ მიდრეკილებებს და მავნებელ პოლიტიკოსებს გადავურჩით... მინიმუმ 100 წელი უნდა გავძლოთ, დედამიწელებო!

ნიდერლანდების სამეფოს ელჩი „ქართული ლუდის კომპანიაში“

ს.ს. „ქართული ლუდის კომპანიას“ ნიდერლანდების სამეფოს სრულუფლებიანი ელჩი იოს დაუმა სტუმრობდა. სტუმარმა არაოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ქარხანაში არსებული ტექნიკა-დანადგარები და საწარმოო პროცესები დაათვალიერა. საწარმოს საქმიანობის სამომავლო გეგმებზე ელჩს ქართული ლუდის კომპანიის დირექტორი კახაბერ კოტრიკაძე ესაუბრა. მანვე გაუწია მეგზურობა იოს დაუმას, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოში ჰოლანდიური პრემიუმ ბრენდის ლუდი „ბავარიის“ წარმოების ტექნოლოგიით.

„მოხარული ვარ, რომ დღეს ზედაზენის ქარხანაში ვიმყოფები. მინდოდა, ჩემი თვალით მენახა ის საწარმო, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ჰოლანდიის ანალოგიური მიმართულებების წარმოებებთან. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ორ ქვეყანას შორის ბიზნეს მეგობრობის საუკეთესო მაგალითთან გვაქვს საქმე. ამას ემატება ისიც, რომ წარმოება ახალ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული და სრულად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მყარი საძირკველია“, – განაცხადა იოს დაუმამ.

„ეს იყო არაოფიციალური ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ნიდერლანდების სამეფოს ელჩმა იოს დაუმამ დაათვალიერა ქართული ლუდის კომპანია, გაეცნო საწარმოო პროცესებს და მხარდაჭერა აღგვითქვა მომავალი თანამშრომლობის საკითხებში“ – განაცხადა ს.ს. „ქართული ლუდის კომპანიის“ დირექტორმა კახაბერ კოტრიკაძემ.

ჟურნალისტთა ტური მცხეთა-მთიანეთში

ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია შიდა ტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით პროექტ **„გაიცანი საქართველოს“ აგრძელებს. ამჯერად „გაიცანი საქართველოს“ მედიატურის ფარგლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სნოსა და ყაზბეგში-სამომლოცველო ტური მოეწყო.**

ჟურნალისტებმა რუსეთ-საქართველოს საზღვართან მდებარე დარიალის მამათა მონასტერი მოინახულეს. მთავარანგელოზთა სახელობის ეს ტაძარი დარიალის ხეობაში, საზღვრიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსი პატრიარქის კურთხევით 2011 წელს გაიხსნა. კლდეში გამოკვეთილი ეს ტაძარი ყველა შემომსვლელს ახსენებს, რომ ამ ადგილიდან მართლმადიდებლური ქვეყანა იწყება. ასევე ზღვის დონიდან 2 ათას 200 მეტრზე მდებარე გერგეთის სამების ეკლესია და სიონის კომპლექსი დაათვალიერეს, სადაც 12 საუკუნის ეკლესიაა განთავსებული. პილიგრიმული ტურის ბოლოს მედიატურის წარმომადგენლები სოფელ სნოში გაჩერდნენ, სოფელი, სადაც პატრიარქი დაიბადა და მთელი ბავშვობა გაატარა. სწორედ უწმინდესის კურთხევით დღეს მისი სახლის ეზოში სასტუმრო „სნო“ დგას, რომლის გახსნასაც ჟურნალიტები დაესწრნენ.

ვიოცნებოთ და ჩვენც გავფრინდებით!..

სხვა ყველაფერთან ერთად (ჭამა, სმა, გართობა, ღლაბუცი), ადამიანი ოცნებისთვის და კვლევა-ძიებისთვისაა დაბადებული. აქ თემატური, რელიგიური ან პოლიტიკური საზღვრები არ არსებობს, ისევე, როგორც ეკონომიკური შეზღუდვები. ოცნება-ძიების სფერო ყველას და ყველაფრის გამაერთიანებელია.

ჩვენს, პარტიული თუ რელიგიური ნიშნით შეზღუდულ საზოგადოებაში, ალბათ ბევრმა არც იცის, რომ არსებობს სხვა, მათზე მაგარი და საინტერესო საზოგადოებები, მაგალითად მარსიანელთა საზოგადოება (აშშ, პრეზიდენტი რობერტ ზუბრინი), რომელიც სულ მალე მარსზე გაფრენას გეგმავს. საყურადღებოა, რომ „გაფრენის“ სფერო (ახლო კოსმოსში) აშშ-ის სახელმწიფო რეგულაციებიდან გამოვიდა და ახალმა პროექტებმა აქ სწორედაც საზოგადოებრივი და კომერციული შინაარსი შეიძინა. მოკლედ, თავისუფალი და მეოცნებე ხალხი საკუთარი ინიციატივით ქმნის მარსიანელთა, მთვარეულთა, ალფა-ცენტავრისტთა და ა.შ. საზოგადოებებს, გეგმავს და ახორციელებს პროექტებს...

ჩვენთან კი აქ, ოცნების, ფიქრის და განსჯის ჰორიზონტი უსასრულოდ მწირი და შეზღუდულია: ხეების გადარგვა-ტრანსპორტირების თემით, „რუსთავი-2“-ის ისტორიით, გირჩის ნარკო და რელიგიური ინიციატივებით, რუსოფობიით, ნაცფობიით და ქოცფობიით, – სულ ესაა.

და რა ხდება ჩვენს გარეთ, ზღვისა და მთის იქით?

– 2030 წელს ადამიანი აუცილებლად გაფრინდება მარსზე. პროექტს რამდენიმე კერძო კომპანია ერთდროულად და დამოუკიდებლად ამუშავებს.

– ისრაელი შორეულ პერსპექტივაზე ფიქრობს და პროექტი „სტარტაპ-ნაცია“, უნდა გარდაიქმნას „სტარტაპ-იმპერიად“, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინაში შემოსული მილიარდები გამოიყო. ხუთი მილიარდი შეკელი კი ნაციონალური მასშტაბის ამოცანის – „ისრაელის სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური სტატუსის გასაძლიერებლად“ დაიხარჯება.

– იაპონელები (შეზღუდული ბიუჯეტის მიუხედავად), ისევე როგორც ამერიკელები, ჩინელები და სხვ., მარსისკენ მიისწრაფვიან (http://inosmi.ru/science/20170422/239194056.html).

აი, ასეთი მასშტაბური და ამბიციური „გამოწვევები“, ანუ მისწრაფებები გვჭირდება ჩვენც. და აქ საქმე ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ უნარებში სულაც არ არის. საქმე ფიქრისა და ოცნების ხარისხშია. წარმოიდგინეთ, ჩვენ ერამდე მეორე საუკუნეშიც კი იწერებოდა ფანტასტიკური ჟანრის თხზულებები, იცოდით? ხალხი მაშინაც კი გლობალურად ფიქრობდა და ოცნებობდა.

ცივილიზაციები და ქვეყნები, ადამიანებივითაა. ჩვენ ვვითარდებით, როდესაც საკუთარ თავს დიდ „გამოწვევებს“ ვუსახავთ მიზნად და დიდი საქმეებისთვის ვიხარჯებით... და ვკნინდებით, თუ ამას არ ვაკეთებთ. მთელი პრობლემა „ფიქრის“ ხარისხშია. თუ გონებრივ შესაძლებლობებს განვავითარებთ და თავდაუზოგავად დავიხარჯებით სწავლაში, ახალ თაობას წინ დიდი და საინტერესო თავგადასავალი ელის. ეს დინამიური ცივილიზაციების (ისევე, როგორც თითოეული ადამიანის) საკვანძო მომენტია – არ შევიზღუდოთ, არაფრით!

მე-13 საუკუნეში ჩინელებს უდიდესი საოკეანო ფლოტი ჰქონდათ. მერე კი, რატომღაც, მისი განადგურება გადაწყვიტეს, ააშენეს დიდი კედელი და რამოდენიმე საუკუნით შიგ გამოიკეტნენ. სულ „ახლახანს“ კი მიხვდნენ, რომ ეს შეცდომა იყო, ფართოდ გააღეს კარი და სხვათა მიერ, მათ გარეშე დაგროვილი მსოფლიო ტექნოლოგიების კოპირება – სათავისოდ გამოყენება დაიწყეს.

ცივილიზაციები და ქვეყნები, ადამიანებივითაა. ვიოცნებოთ, მოვინდომოთ და ჩვენც გავფრინდებით...

ნუკრი მიხანაშვილი

რატომ არ დაჯილდოვდა თეონა ცირამუა „BLACK SEA ARENA“-ზე

რატომ არ მიეცა პრეზიდენტის ადმინისტრაციას საშუალება გორის ქალთა კაპელას ხელმძღვანელი „Black Sea Arena“-ზე დაეჯილდოებინა, ამასთან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს კულტურის მინისტრი. მიხეილ გიორგაძე ადასტურებს, რომ მან პრეზიდენტის ადმინისტრაციას თეონა ცირამუას დაჯილდოების თხოვნით თავად მიმართა, თუმცა მინისტრის მტკიცებით, დაჯილდოების ფორმატი და დეტალები მისთვის უცნობი იყო. გავრცელებულ ინფორმაციას, რომ დაჯილდოების ცერემონიის ადგილი კონცერტზე ბიძინა ივანიშვილის დასწრების გამო გადაიტანეს, გიორგაძე სპეკულაციად მიიჩნევს.

მანამდე, კულტურის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ თეონა ცირამუასთვის პრეზიდენტის ჯილდოს თაობაზე არაფერი იცოდნენ.

ღმერთო, დალოცე უშანგი დალალიშვილი და სახლეული მისი!..

სოფელ სვირის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წარწერა:

„წმიდაო მღვდელთმთავარო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ აღმშენებელსა წმიდისა ამის ტაძრისა, მონასა ღვთისას უშანგისა დალალიშვილსა და სახლეულსა მისსა, ამინ!“

დილიდანვე ხვატი დაიჭირა თბილისში. გეზი ახალციხისკენ გვაქვს აღებული — 10 საათზე სოფელ სვირში წმინდა ნიკოლოზის სახელზე აგებული ტაძარი უნდა აკურთხოს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა **მეუფე თეოდორემ**. ავტობანის, ხაშურიდან ახალციხემდე მოასფალტებული გზისა და ჩვენი მძღოლის ვაჟა ჯანელიძის პროფესიონალიზმის წყალობით, ამ მანძილს ორ საათში ვფარავთ. საოცარი სილამაზისაა ბორჯომის ხეობა. გზად მეზობელი ქვეყნებიდან მომავალი ტრაილერების გარდა, უამრავი უცხო ქვეყნის ნომრიანი მანქანა გვხვდება. არნახული მოზღვავება იგრძნობა ტურისტებისა, განსაკუთრებით ამ მადლიან მხარეში. ცნობილ ფოტოხელოვანს გივი ჯოლბორდს თბილისიდან მოყოლებული აპარატისთვის ხელი არ გაუშვია. წინასწარ ვიცი უამრავ საოცარ კადრს გადაიღებს. **გია გაბრიჭიძე** ყოველ ხუთ წუთში მობილურით ეხმიანება ჩვენს კოლეგა ტელეჟურნალისტებს „საზოგადოებრივი არხიდან“, რომლებიც ახალციხის შესასვლელში უნდა დაგვხვდნენ და სოფელ სვირამდე დაგვიმგზავრონ.

ქალაქის შესასვლელში ახალი გზა კეთდება, ფუსფუსებენ მეგზევეები, მოძრაობს მძიმე ტექნიკა, ახლადმოხრეშილ გზაზე ბორდიურებსა და სანიაღვრეებს აკეთებენ. რამდენიმე დღეში მოაასფალტებენ კიდეც. თბილისიდან აღებული ტემპი შევანელეთ. ახალციხიდან სოფელ სვირამდე ათიოდე კილომეტრია, ვიწრო შარაგზას მთისკენ მივუყვებით. გორაკებზე კოხტა სახლებია შეფენილი , ხელმარცხნივ სიმინდის ყანებია, ხელმარჯვნივ საძოვრები. აქაურები მესაქონლეობას მისდევენ. მთის წვეროები ტყეს დაუფარავს. გზადაგზა ხალხი გვხვდება, ადვილი მისახვედრია ახალი ტაძრის მოსალოცად მიდიან. თავსაფარწაკრულ ქალბატონებს პატარებისთვის ჩაუკიდიათ ხელი, სულ პატარები კი მამიკოების კისერზე მოკალათებულან. აქაც ცხელა, მაგრამ რა შედარებაა, მთიდან მონაბერი ნიავი შვების მომგვრელია. აი, სოფელშიც შევედით. აქ მართლაც ხალხმრავლობაა, შუკები მანქანებითაა გადაჭედილი. მშვენიერი ბაზილიკის ჯვარიც გამოჩნდა.

ჩვენი მასპინძელი ბატონი **უშანგი დალალიშვილი** ოთხმოცს მიტანებული კაცია, მაგრამ საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურება, სტუმრებს ეგებება საყდრის შესასვლელთან. სტუმრები კი მრავლად არიან ახალციხიდან, ადიგენიდან, ბორჯომიდან, თბილისიდან, თქვენ წარმოიდგინეთ მოსკოვიდან და უკრაინიდან. ახალგაზრდობა სჭარბობს, რაც მართლაც იმედისმომცემია. ტაძრის ეზოში და ტაძარში სამღვდელოების წარმომადგენლები და ახალგაზრდა სტიქაროსნები ტრიალებენ.

* * *

„სოფელი სვირი იმერეთშიცაა, როგორც აქაურები ამბობენ და ჩემი წინაპრებისგანაც გამიგია, ახალციხის ზემო და ქვემო სვირი უფრო ძველი სოფლებია, ვიდრე იმერეთისა. ოსმალოთაგან შევიწროებულ სვირელ მესხებს იმერეთისთვის შეუფარებიათ თავი. იქ დასახლებულებს ახალი სოფლისთვის მშობლიური სოფლის სახელი დაურქმევიათ. გასულა საუკუნეები და მეორე მსოფლიო ომის დროს მესხეთიდან გათურქებული მესხები გადაუსახლებიათ შუა აზიაში, აქ კი იმერლები და რაჭველები ჩასახლებიათ, შემდგომში ლეჩხუმელები და სვანებიც შემატებიან მესხეთის ძირძველ მიწას. მე ხარაგაულის რაიონის სოფელ ნუნისში დავიბადე. ექვსი წლისა ვიყავით ჩვენი ოჯახი სვირში რომ ჩამოასახლეს. დედმამა რვა შვილს გვზრდიდნენ, ყველაზე უფროსი მე ვარ. სკოლა აქ დავამთავრე, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისში გამანაწილეს, დავოჯახდი და შემოვრჩი თბილისს, მაგრამ გული აქეთ მომიწევს, ჩემს მშობლიურ სოფელში, ჩემს მეუღლეს ნანული ბერიშვილსა და შვილებს პაატასა და მაკასაც, განსაკუთრებით უყვართ აქაურობა, შვილიშვილებიც აქეთ მოისწრაფვიან. ესაა ჩემი ფუძე. აქ არიან დაკრძალული ჩემი მშობლები. მთელი ცხოვრება შრომაში გავატარე, თანამდებობებიც არ მაკლდა. 90-იან წლებში რუსეთში მომიწია წასვლა, ოჯახთან ერთად იქ გადავსახლდი, მეგობრების წყალობით ბიზნესი წამოვიწყეთ. ახლა თბილისში დავბრუნდი“, — მიყვება ბატონი უშანგი, თან სტუმრებს ეგებება. საინტერესო მოსაუბრე გახლავთ.

— ბატონო უშანგი, ტაძრის აშენება როდის გადაწყვიტეთ?

— ქვემო და ზემო სვირში, მის მიმდებარე რამდენიმე სოფელში სალოცავი არ გვქონდა, ადგილობრივებს ახალციხეში გვიწევდა სალოცავად წამოსვლა. მე და ჩემმა ვაჟმა გადავწყვიტეთ, სოფლის ცენტრში აქაური მრევლისთვის ტაძარი აგვეგო. საპატრიარქოშიც ვიყავით, შემდეგ მეუფე თეოდორეს ვეწვიეთ ახალციხეში. გაიხარა მეუფემ, დაგვლოცა, რამდენიმე მაკეტიც გვაჩვენა და ამ ბაზილიკის აგება გვირჩია. წელიწად-ნახევარში დავასრულეთ ტაძარი, ადგილობრივმა გამგეობამ ნაკვეთიც გამოგვიყო. ენერგიული ახალგაზრდაა სოფლის გამგებელი **ბუბა შუბითიძე**. საძირკვლის გათხრის დღიდან ტაძრის გადახურვამდე არ მოგვცილებია. მთელი სოფლის ახალგაზრდობა მუშაობდა. მშვენიერი გალავანიც შემოვავლეთ, ტაძრის მოხატვას დრო სჭირდება, ესეც გადაწყვეტილი გვაქვს.

* * *

გია გაბრიჭიძე ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელს **ზაზა მელიძიძეს** ესაუბრება. როგორც ყველა აქ მყოფი, რაიონის თავკაციც გახარებულია.

— ჩვენს კუთხეში მშრომელი ხალხი ცხოვრობს, მრავალი გაჭირვება აქვთ გადატანილი, მაგრამ პატიოსნება და ერთგულება არ დაუკარგავთ. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ახალგაზრდობა გვიდგას გვერდში. შეპირებული ვარ, გზაც განვაახლოთ ზემო სოფლებისკენ. ახალციხის შემოსასვლელში ნახავდით როგორი სამუშაოები მიმდინარეობს, მოგვიანებით ქალაქსაც დავათვალიერებთ ერთად, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონი უშანგის ოჯახის მიმართ, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, სოფელს მშვენიერი ტაძარი აჩუქა, ყველაფერი ღვთის ნება იყო.

რამდენიმე მიკროავტობუსი ჩერდება ტაძრიდან მოშორებით, რადგან ტაძრის სიახლოვეს ხალხის ტევა არ არის. „ჩემი მეგობრები მეწვივნენ თბილისიდანო“, — სახე უნათდება მასპინძელს. მხნედ გადმოდიან ბატონ უშანგისთან თანაშეზრდილი მეგობრები, ყველას

ტაძრის ეზოში ეპატიჟება, ტაძარში კი წირვა მიმდინარეობს. ქართული საგალობლები ატკბობენ გარემოს. ბატონი **გურამ გუნავა** მზისგან გარუჯულ, შრომისაგან დაკუნთულ ახალგაზრდებთან მიდის ჩვეული ენერგიულობით, ყველას ხელს ართმევს და რაიონის ჭირ-ვარამზე იწყებს შეკითხვებს, აბა რა გჭირთ ბიჭებო, რა გილხინთო. როგორც შემდეგ შევიტყვე, აბაშის ყოფილი გამგებელი, ლენტეხში რაიკომის პირველი მდივნად ნამუშევარი და იმ კუთხეში დაფასებული კაცი, ბატონი გურამი საზოგადოება „მესხეთის“ ვიცე-პრეზიდენტიც ყოფილა და გასაკვირიც არ იყო, რომ აქაურთა ყოფითაც დაინტერესდა.

— ძირითადად მეცხოველეობას მივსდევთ, რამდენიმე ათეულ ჰექტარზე კარტოფილიც გვაქვს დათესილი, ვშრომობთო, — პასუხობენ ახალგაზრდები.

— რამდენი ტონა მოგყავთ ჰექტარზეო, — გამომცდელად ეკითხება ბატონი გურამი.

— შვიდი-რვა, ხან როგორ, ხან როგორ, — პასუხობენ ისინიც, — ამინდზეც ბევრია დამოკიდებული, ისე, უცხოეთიდან შემოტანილს ხარისხით ჩვენი ბევრად სჯობსო.

— ა, კარგი საქმე გააკეთა ჩემმა მეგობარმა, დიდი კაცია უშანგი, დიდი კაცი, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და ახლა სხვა ჯგუფს შეერია.

* * *

— უშანგი სამეგობროში გამორჩეული კაცია — ერთგული, სიტყვის გამტანი, თავის კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებული. ამის დასტურია ეს შესანიშნავი ბაზილიკაც, რომლის აგებაც მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ყველას ვულოცავ ამ ლამაზ დღეს, თქვა და აასრულა კიდეც, — მეუბნება ბატონი **თეიგიზ კალანდაძე,** საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, ბატონი უშანგის უახლოესი მეგობარი.

— ეს ჩემი მშობლიური კუთხეა, ათობით წელი ვიმუშავე სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. განსაკუთრებით ვაჟკაცური, შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს ამ კუთხეში, რწმენისთვის თავდადებული. ვულოცავ ჩემს მეგობარს, უშანგი დალალიშვილს, ამ კუთხის ხალხს, მთელ მართლმადიდებელ მრევლს ამ ლამაზი ტაძრის გახსნას, — ეს ბატონი **ამირან მექვაბიშვილი** გახლავთ, მესხეთში ყველასგან დაფასებული კაცი, საზოგადოება „მესხეთის“ პრეზიდენტი.

* * *

წირვა დამთავრდა, მომლოცველები ტაძრის ეზოში გამოიფინენ. საშუალება მოგვეცა მეუფე თეოდორეს გავსაუბრებოდით.

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოღვაწეობის დროს ეპარქიაში მრავალი ეკლესია აიგო. ეს მართლმადიდებელი მრევლის სიმრავლეზე, ახალგაზრდობის ეკლესიურ ცხოვრებაზე მეტყველებს. ეს ბაზილიკა, წმინდა ნიკოლოზის სახელზეა აგებული, დროული იყო მისი გახსნა, რადგან რამდენიმე სოფელს, რომლებსაც ღვთის მადლით მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს, ტაძარი არ ჰქონდათ. ისინი მოსალოცად ახალციხეში და მეზობელ სოფლებში დადიოდნენ. ამ კუთხეში გაზრდილმა კაცმა, ამ ტაძრის ქტიტორმა უშანგი დალალიშვილმა მართლმადიდებელ მრევლს დიდი საჩუქარი გაუკეთა. ღმერთმა დალოცოს მისი სახლეული. ახლა ამ ტაძარს ახალგაზრდა მამაო, მამა ნიკოლოზი უწინამძღვრებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. გფარავდეთ წმინდა ნიკოლოზის მადლი.

* * *

ვემშვიდოგებით სოფელ სვირის მცხოვრებლებს. ახალციხისკენ ვიღებთ გეზს. ჩვენი მასპინძლის თხოვნაა, სტუმრებმა ძველი ახალციხე და რაბათი დავათვალიეროთ, შემდეგ კი წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის კუთრხევა აღვნიშნოთ.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ერისთვის, სარწმუნოებისთვის, ტრადიციებისთვის თავდადებული ხალხი, ახალ ტაძარს მრევლი, სოფელს გამრჯე კაცის მარჯვენა.

მამუკა ვაშაკიძე,
გია გაბრიჭიძე,
თბილისი-ახალციხე-სვირი-თბილისი

გივი ჯოლბორდის ფოტოები
2017 წ. 23 ივლისი

შუამავალი რგოლის ფასი

რუსთავში ხილ-ბოსტნეული იყიდება ყველგან: ბაზრებში, სუპერმარკეტებში, პირდაპირ ტროტუარებზე და ეზოებშიც.

ხილ-ბოსტნეული რუსთავის სუპერმარკეტებში, ბაზართან შედარებით, ძვირია. თუ, მაგალითად, **ბაზარში ერთი კილოგრამი პომიდორი საშუალოდ 60-80 თეთრი ღირს, დიდ სავაჭრო ობიექტებში მისი ფასი 10-15 თეთრით მეტია. შედარებით ძვირია კიტრი — მისი ფასი პომიდვრის ფასს 10-20 თეთრით აღემატება. იაფია ატამი და ვაშლატამა — მათი ფასი 50-დან 60 თეთრამდე მერყეობს, თუმცა უფრო იაფად ეზო-ეზო მოძრავი მანქანებიდან ვაჭრობენ — სამი კილოგრამი ნაკლებხარისხიანი ატამი შეიძლება ლარადაც იყიდოთ.**

ბანკის თანამშრომელს, ჯიმშერ მაღრაძეს, იმ დროს გავესაუბრეთ, როცა ის, შესვენებაზე გამოსული, ბანკის შენობის უკან ბოსტნეულით მოვაჭრე ქალებთან კიტრსა და პომიდორს ყიდულობდა. ნავაჭრში გადახდილი თანხა და პროდუქტის ხარისხიც მისთვის მისაღები აღმოჩნდა.

რუსთავის სავაჭრო ობიექტები ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი და ქვემო ქართლის სოფლებში მოყვანილი ხილ-ბოსტნეულით მარაგდება. დავით ქიმაძემ, მარნეულის სოფელ საიმერლოდან, წელს გათვლა კიტრზე გააკეთა და, როგორც ამბობს, არ შემცდარა.

დავით ქიმაძე ამბობს, რომ მისი პროდუქტი დიდი ქალაქების სავაჭრო დახლებზე დისტრიბუტორების საშუალებით ხვდება — პროდუქტს საკუთარი სათბურებიდან ყიდის, მაგრამ ამონაგები არც ისე დიდია. ბაზრის მოთამაშეები მწარმოებლებს საკუთარ პირობებს უყენებენ, ამიტომ ქიმაძეც იძულებულია, თამაშის წესებს დაემორჩილოს. იგი ამბობს, რომ ფინანსური შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, ხილ-კენკროვანი კულტურების მოყვანაზე გადაერთვებოდა, რადგან ის მარნეულში ცოტა ვინმეს თუ მოჰყავს, თუმცა ქიმაძე აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ხილის მოყვანა სარისკო საქმეა, რადგან მარნეულის ერთადერთი გადამამუშავებელი საწარმო გლეხებისგან პროდუქტს მხოლოდ სეზონის ბოლოს იბარებს.

თორნიკე მებურიშვილი რუსთავში ხილ-ბოსტნეულის მცირე სავაჭრო ობიექტის მფლობელია. იგი ამბობს, რომ საქმე წამგებიანია, რადგან პროდუქტის ფასი მაღალია, მოსახლეობას კი შემოსავალი არა აქვს. თორნიკე მებურიშვილის თქმით, პროდუქტს აძვირებს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუამავალი რგოლი — იქნება ეს დისტრიბუცია, საბითუმო ვაჭრობა თუ ტრანსპორტის ხარჯები. თორნიკე მებურიშვილის თქმით, მწარმოებლები ხშირად უკმაყოფილონი არიან ქალაქის ბაზრებით, სადაც, როგორც წესი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზებით გადამყიდველები არიან დაკავებულნი. თორნიკე მებურიშვილის აზრით, საჭიროა კარგად აწყობილი ლოჯისტიკის ცენტრების შექმნა, სასაწყობო მეურნეობით და, თუ გნებავთ, ღია ბირჟით. იგი ფიქრობს, რომ ამ სისტემით გლეხიდან მომხმარებლამდე პროდუქტი გაცილებით დაბალი ფასნამატით მივა.

დავით მჭედლიძე,
რუსთავი

სოლომონ პავლიაშვილი ლიტვაში ტყის მართვის საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას ეცნობა

ლიტვის რესპუბლიკაში, გარემოს დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა ოფიციალური შეხვედრა გამართა ლიტვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრ კესტუტის ნავიჩკასა და მინისტრის მოადგილე მარტინას ნორბუტასთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ლიტვაში საქართველოს სელჩოს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში, ლიტვა/უნგრეთის კოსორციუმთან ერთად ქართული მხარე მომდევნო 18 თვის განმავლობაში მოხდება ტყის მდგრადი მართ-

თვის პრაქტიკის გაზიარება, საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ქართველი სპეციალისტების შესაძლობლობების გაძლიერება და ტყის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, ოფიციალური ვიზიტი 5 დღეს გასტანს და დაგეგმილია შეხვედრები, სატყეო მეურნეობებისა და დაცული ტერიტორიების მონახულება.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება შემცირდა

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ 2017 წელს, შარშანდელისგან განსხვავებით, სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის დაფინანსება შეამცირა. კერძოდ, 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, დაახლოებით, 83 მლნ ლარით შემცირდა. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა შემცირებულია 75 მლნ 430 ათასი ლარით, სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა — 3 მლნ 930 ათასი ლარით, მევენახეობა- მეღვინეობის განვითარება — 450 ათასი ლარით, სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება — 3 მლნ 400 ათასი ლარით.

ამის პარალელურად კი ამოქმედდა ახალი პროგრამები, რომლებიც სახელმწიფო დახმარების მეტ ფოკუსირებას გულისხმობს. ერთ-ერთი მათგანია მაღალმთიანი რეგიონების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც თავისი შინაარსით სოფლის მეურნეობის მიმართულებისა არ არის, თუმცა მასაც გულისხმობს.

ამ მიმართულებით ბოლო სიახლის თანახმად, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების“ სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები შევიდა. პროგრამას მცხეთის, კასპის, ხაშურის, საგარეჯოსა და წყალტუბოს მუნიპალიტეტები დაემატა.

პროგრამის ფარგლებში, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს, რაციონალურად იქნება გამოყენებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრები.

ამ მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა წევრების რაოდენობა არანაკლებ 11 მეპაიეს შეადგენს და მფლობელობაში არანაკლებ 200 სული ფური ან/და დეკეული ჰყავთ, იჯარით გადაეცემათ სათიბ-საძოვრები და შესაბამისი აღჭურვილობა — ტრაქტორები, სათიბები და სხვა საჭირო ინვენტარი. კოოპერატივებს ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 0,5 და არა უმეტეს 2 ჰექტარი სათიბი გადაეცემა, ხოლო საძოვრის ფართობი — ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 1 და არა უმეტეს 2 ჰექტარი.

სახელმწიფო პროგრამაში შეტანილი ცვლილებებით, სამიზნე მუნიციპალიტეტების რაოდენობა 24-დან 29-მდე გაიზარდა. პროგრამაში ჩაერთვებიან აღნიშნული 29 მუნიციპალიტეტის — წალკის, თეთრიწყაროს, დმანისის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, მცხეთის, ყაზბეგის, თიანეთის, დუშეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, საგარეჯოს, ახმეტის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ხულოს ის დასახლებები, რომლებზეც „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილება ვრცელდება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტში — უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში — რძის გადამმუშავებელი საწარმოს აშენება.

ნინო ევგენიძე

◎ დაზღვევა

ნაშრომ-ნაღვაწი წამში ფერფლსა და წყალს რომ არ გაჰყვეს...

თვენახევრის წინათ თბილისში, ელიავას სახელით ცნობილ ბაზრობაზე მომხდარმა ხანძარმა და მას მოყოლილმა დიდმა ვნებათაღელვამ, კიდევ ერთხელ შეგვახსენა საქართველოში ქონების დაზღვევასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ბოლო წლების მანძილზე ლილოს ბაზრობაზე გაჩენილი ხანძარი პირველი არ იყო, თუმცა კი იმჯერად საბედნიეროდ, მას ისეთი მასშტაბი არ ჰქონია, როგორც მანამდე სავაჭრო ცენტრ „ბავშთა სამყაროში“ იყო, როცა შენობაც და შიგნით დასაწყობებული საქონელი, ავეჯი თუ საცავი ერთიანად განადგურდა. საზოგადოებამ ისიც კარგად უწყის, რომ დროის დაახლოებით ხუთწლიან მონაკვეთში ეს უკვე მეათე დიდი ხანძარია, რომლის შედეგად უამრავი ხალხი დაზარალდა. კერძოდ, 2012 წლის ნოემბერში ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე სამი ათეული სავაჭრო ობიექტი განადგურდა; 2013 წლის თებერვალში სავაჭრო ცენტრ „საბაში“ 7000 კვადრატულ მეტრამდე ფართობი დაიწვა; 2014 წლის აგვისტოში ქ. სენაკის ბაზრობაზე ხანძარმა 3000 კვადრატული მეტრი ფართობი გაანადგურა; ამავე წლის დეკემბერში დაიწვა ვაგზლის მოედანზე ე.წ. „ბოშათა ბაზრობა“, განადგურდა 2500 კვადრატული მეტრის ფართობი; ელიავას ბაზრობაზე დიდი ხანძარი 2014 წლის დეკემბერშიც და 2015 წლის აგვისტოშიც იყო; 2015 წლის იანვარში დაიწვა ისნის ბაზრობის 15 მაღაზია; 2016 წლის აგვისტოში ცეცხლმა თითქმის მთლიანად გაანადგურა ბაზრობა ქ. ზესტაფონში; წლეულს იანვარში კი ცეცხლმა სავაჭრო ცენტრი „ბავშვთა სამყარო“ მოსპო.

გამძვინვარებული სტიქიონის შემოტევის ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევას საერთო ნიშნები ისა აქვთ, რომ ამ ტიპის ობიექტებისთვის სახანძრო უსაფრთხოების პირობები დაცული არსად არ ყოფილა და იქ მოვაჭრეთა აბსოლუტურ უმრავლესობას დასაწყობებული ქონება დაზღვეული არ ჰქონია. ამის შედეგი ყველასათვის კარგადაა ცნობილი: ყოველი ასეთი უბედური შემთხვევის შედეგად საზოგადოებაში მძაფრი დაძაბულობის უმძლავრესი კერა ჩნდება, დაზარალებული (ხშირად კი, სულაც, მთლად დაქცეული!) მოვაჭრეები შველას სახელმწიფოსგან (ან ქალაქის მერიისგან) მოითხოვენ. ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ბაზრობებზე, სახანძრო უსაფრთხოების წესების დაუცველობის მიზეზით, ანდა სულაც, გარკვეულ კერძო ინტერესთა გამო გაჩენილ ხანძარზე პასუხისმგებელი... მთელი საზოგადოებაა, მისი ყველა წევრი, რომელსაც ამ საქმიანობასთან საერთო არაფერი აქვს! ეს იმიტომ, რომ ისევე, როგორც სახელმწიფო, ასევე თითოეული ქალაქის ბიუჯეტი მოქალაქეთა გადასახადებისგან შედგება, რომელთა პირდაპირი დანიშნულება ამა თუ იმ ფორმით, ისევ მათსავე კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ამ შემთხვევაში კი გამოდის, რომ თუნდაც დიდ გაჭირვებაში მყოფ თანამოქალაქეთა ქონებრივი უზრუნველყოფა პერმანენტულად მთელმა საზოგადოებამ უნდა იტვირთოს, რაც აშკარა უსამართლობაა! ამის წამალი კი ქონების დაზღვევაა, რაც დიდი ხანია, მთელ მსოფლიოში აპრობირებული სისტემაა და, ბუნებრივია, ფული ღირს, თუმცა კი ჩვენში ფეხი ვერა და ვერ მოიკიდა. წლების მანძილზე ექსპერტები ერთხმად გაიძახიან, რომ საქართველო, ფაქტობრივად, მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სავალდებულო დაზღვევის არც ერთი ფორმა არ მოქმედებს, რაც იმის უმთავრესი მიზეზია, რომ ხანძრისგან, წყალდიდობისგან, მეწყერისგან, სეტყვისგან თუ სხვა სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული ხალხი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ბიუჯეტს სთხოვს. ამიტომაც, მთავრობის ინიციატივით, „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ“ კანონპროექტი შემუშავდა, რომელიც ამჟამად პარლამენტში განსახილველადაა წარდგენილი.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქონებისა და საქონლის თუ პროდუქციის მარაგების დაზღვევა ჩვენში მაინც ხორციელდება, ამ მიმართულებით მართალია არც თუ დიდი, მაგრამ სტაბილური ყოველწლიური ზრდა არის, მაგრამ ეს, უმთავრესად, დიდი კომპანიების ხარჯზე ხდება. არადა, როგორც წესი, ზემოჩამოთვლილი ბოლოდროინდელი ხანძრების ნუსხა მოწმობს, მათგან და კიდევ სხვა სტიქიონთა შემოტევით უმეტესწილად საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ინდმეწარმეები ზარალდებიან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქონების დაზღვევა ძვირად ღირებული საქმე არ არის: ვთქვათ, ათი ათასი ლარის დაზღვევისას წლიური გადასახადის ოდენობა 200-300 ლარია, რაც გარკვეული სამეურნეო საქმიანობის მწარმოებელი იურიდიული თუ ფიზიკური პირისთვის „აუწეველი“ თანხა ნამდვილად არ არის, თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გზით სხვადასხვა რისკების მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აცილება შეიძლება. აუცილებლად ისიცაა ანგარიშგასაწევი, რომ თუ არა ამ გზით, სხვანაირად სამეურნეო საქმიანობის წარმართვა მსოფლიოს, რომელიც გნებავთ განვითარების გზაზე მყოფ, მით უმეტეს მაღალი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ქვეყანაში, უბრალოდ, შეუძლებელია — ამას კანონმდებლობა არ დაუშვებს.

ზოგიერთი სამამულო სადაზღვევო კომპანიის მუშაობის სტატისტიკა მოწმობს, რომ დიდად გახშირებული სტიქიის შემოტევებისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულმა საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა, ბოლო პერიოდში სადაზღვევო პოლისების შეძენა და ამით საკუთარი თავი ზარალის მიღების რისკისგან დაიცვეს, თუმცა კი ბევრია ისეთიც, ვინც ასეთ საფრთხეებს მაინც არაფრად აგდებს.

ახალი კანონპროექტის განხილვაში აქტიურად ჩართულები არიან საქართველოში სადაზღვევო სფეროში მოღვაწე კომპანიების ხელმძღვანელები და კომპეტენტური სპეციალისტები. ამჟამად ჩვენში თხუთმეტი სადაზღვევო კომპანია მოღვაწეობს.

ოთარ ტურაბელიძე

ინტერნეტის სიძვირით ევროპის ქვეყნებსაც გაღავუსწარით



საქართველოში ინტერნეტი ძვირია და თანაც უხარისხო. ამაზე საუბარი უკვე წლებია, მიმდინარეობს, მაგრამ კომუნიკაციების კომისია მხოლოდ ახლა აპირებს რეგულაციების დაწესებას. შედარებისთვის ისიც კმარა, რომ ინტერნეტ ტარიფების სიძვირით საქართველო რეგიონში ლიდერია და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასაც კი უსწრებს. რაც შეეხება ხარისხს, აქ საუბარი საერთოდ ზედმეტია.

მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე **მიხეილ გოთოშია** აცხადებს, რომ სომხეთში ინტერნეტი საქართველოდან შედის, მაგრამ უფრო იაფია. ჩვენთან ინტერნეტმომხმარებლები ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტარიფს იხდიან, რომელიც ხარისხთანაც შეუსაბამოა.

მიხეილ გოთოშია ამბობს, რომ ინტერნეტის სიძვირეს სატრანზიტო ქსელზე მაღალი ტარიფები განაპირობებს, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ რეგულირდება. ასოციაცია სწორედ ამ ტარიფის მოწესრიგებას ითხოვს, რადგან არ შეიძლება საცალო და საბითუმო ტარიფებს შორის ისეთ განსხვავება იყოს, როგორც საქართველოშია.

„მაღალია საბითუმო ინტერნეტის ტარიფი. საცალო კი პირიქით დაბალია. არ უნდა იყოს ამხელა განსხვავება საცალოსა და საბითუმოს შორის. მაშინ, როდესაც ერთი მეგაბიტი საცალოზე ღირს 1ლარი, საბითუმო ღირს — 30 ლარი.

დაზუსტებით არ ვიცით, რამდენი ინტერნეტი გადის საქართველოზე ტრანზიტულად. ოპერატორი რასაც იტყვის, ის არის: იტყვის ერთი მეგაბიტი გავიდაო, ერთი იქნება; იტყვის, მილიონი გავიდაო, მილიონი იქნება. ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, სადაც ჩვენგან შედის ინტერნტი, უფრო იაფია, ვიდრე ჩვენთან. მაგალითად, სომხეთში, ამ ქვეყანას არსაიდან არა აქვს სხვა ალტერნატივა, მხოლოდ საქართველოს გავლით აქვს ინტერნეტი.

მრავალწლიანი მითითებისა და მომხმარებლის უკმაყოფილების შემდეგ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, როგორც იქნა, ინტერნეტ ბაზრით დაინტერესდა. ბაზარზე რეგულაციების კუთხით ფუნდამენტური ცვლილებებია მოსალოდნელი.

მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე **კახა ბექაური** აცხადებს, რომ აღნიშნულ **ბაზარზე სიტუაციის გაუმჯობესება კომისიის პრიორიტეტია, ვინაიდან დღეს ბაზარზე ფასები მაღალია, ხარისხი კი — დაბალი.**

„ფუნდამენტური ცვლილება მოხდება ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე რეგულაციების კუთხით. მთავარი პრიორიტეტი იქნება ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე სიტუაციის გაჯანსაღება. დღეს ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ვინაიდან ამ ბაზარზე ფასები მაღალია, ხარისხი კი — დაბალი. ეს წლების განმავლობაში დაგროვებული მიზეზებითაა გამოწვეული, რომელსაც ერთ თვეში ვერ გამოვასწორებთ, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ კომისია ძალიან სწრაფად განახორციელებს აქტიურ და ეფექტურ ქმედებებს როგორც საკანონმდებლო ინიციატივების კუთხით, ისე ნორმატიული აქტების მოწესრიგებისა და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

საბოლოო ჯამში, სურათი მთლიანად შეიცვლება და ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება“, — აცხადებს ბექაური და დასძენს, რომ ამ შედეგის მისაღწევად რამდენიმე ფუნდამენტური საკითხის გადაწყვეტაა საჭირო, რომელზეც კომისია უკვე მუშაობს უცხოელ ექსპერტებთან ერთად.

მანამდე კი ქართველი მომხმარებელი ერთ-ერთ ყველაზე ძვირ ინტერნეტს მოიხმარს. **ჩვენთან 10 მგბ-წმ ოპტიკური ინტერნეტი 27 ლარი ღირს, იგივე სიჩქარის ინტერნეტში უკრაინელები 7 ლარს, ბელარუსი და ყაზახი მომხმარებლები — 25-25 ლარს იხდიან. 50 მგბ-წმ-ში ჩვენი მომხმარებლები 50 ლარს იხდიან, ხოლო უკრაინელები — 10 ლარს, ჩეხები — 28 ლარს, ყაზახები — 38 ლარს, სერბები — 45 ლარს, სლოვაკები — 30 ლარს, ბულგარელები — 15 ლარს, უნგრელები — 43 ლარს და ა.შ.**

კიდევ უფრო თვალშისაცემია სხვაობა, როდესაც საქმე 100 მეგაბიტის ღირებულებას ეხება. საქართველოში ამ შემთხვევაში ტარიფი 100 ლარია მაშინ, როდესაც იგივე მომსახურება უკრაინაში — 14 ლარი, რუმინეთში — 18 ლარი, ლიტვაში — 22 ლარი, ბულგარეთში — 22 ლარი, ლატვიაში — 33 ლარი ღირს.

დღეს საქართველოში რამდენიმე ათეული აქტიური ინტერნეტ პროვაიდერია, მაგრამ საცალო ინტერნეტის ხვედრითი წილი ძირითადად 4 კომპანიაზე მოდის: „სილქნეტი“, „მაგთიკომი“, „ახალი ქსელები“, „ახტელი“. ბაზრის 3-4-ს კი „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“ ინაწილებენ.

ბექა დანელია

◎ წინ, საქართველოვ!

არის ასეთი ფალავანი

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრების წევრი გიორგი ჭოლაძე (42 კგ) ევროპის ჩემპიონია, თორნიკე ქათამაძემ (58 კგ) და დავით ქოჩქიანმა (85 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს. სარაევოში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს მედლები სულ ხუთ წონით კატეგორიაში გათამაშდა და სამში პოდიუმზე ქართველებიც ავიდნენ.

გიორგი ჭოლაძემ ფინალის გზაზე ბულგარელი ისმაილ მეჰმედოვ პომაკოვი (12:1) და თურქი ფურკან უჩოლუკი (10:6) ჩამოიშორა, გადამწყვეტ ბრძოლაში კი აზერბაიჯანელ ტოფიგ ალიევს აჯობა (8:2).

თორნიკე ქათამაძემ შვედი კევინ მაკოტა შტროემის (10:0), მაკედონიელი დავიდ მიშევისა (10:0) და თურქი ტოლგა აკიუზის (15:9) ძლევის შემდეგ უმაღლესი სინჯის მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი ნახევარფინალში დაკარგა ბერძენ გეორგიოს პილიდისთან წაგებით (1:8), რეპეშაჟის ფინალში კი ბულგარელი დიმიტარ ატანასოვ ანგელოვი დაამარცხა (14:4).

დავით ქოჩქიანმაც ნახევარფინალში დაასრულა ძირითად ბადეში გამოსვლა რუსეთის ნაკრების წევრ ალიკ შებზუხოვთან მარცხით (0:11), ხოლო იქამდე ბულგარელ ცვეტან დანიელოვ ევტიმოვსა (11:0) და მოლდოველ ივან ნედეალკოს (9:0) მოუგო. ბრინჯაოს მედალს დათო ფრანგი პიერ ოლივიე სიმონ მორნას ძლევით (10:0) დაეუფლა.

კოზა კოზახიძე

◎ დიორი 2017

პირველი მერცხალი

უნგრეთის ქალაქ დიორში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს გუნდს პირველი მედალი ძიუდოისტმა ბექა წიფიანმა (55კგ) მოუტანა.

ფინალურ შეხვედრამდე ბექამ 4 მეტოქე – შვედი ემილ ჰენრიკსონი, კვიპროსელი ლუკა ლუკასი, მოლდოველი ადილ ოსმანოვი და უკრაინელი ოლეგ ვერედიბა დაამარცხა, ფინალური შეხვედრა კი თურქ მეტოქესთან მირაჯ აკუსთან წააგო და საქართველოს დელეგაციას ვერცხლის მედალი მოუპოვა.

სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთაგან ფინალურ ეტაპზე გასვლა ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა. პირველივე წრეში დამარცხდნენ ჩოგბურთელები, საკვალიფიკაციო შეჯიბრება ვერ გაიარეს მოცურავეებმა, კანოისტებმა, ველოსიპედისტებმა და მძლეოსანთა იმ ნაწილმა, რომლებმაც უკვე დაამთავრეს შეჯიბრება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფორუმის წინ

მოგებით დაიწყეს

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში, სადაც საწვრთნელ შეკრებას გადის, პირველი სპარინგ-მატჩი გამართა და რუსეთის სტუდენტური ნაკრები 97:86 დაამარცხა. ეს გახლდათ შეხვედრა, რომელიც არ იყო წინასწარ დაგეგმილი და მისი გამართვა რამდენიმე დღის წინათ გადაწყდა.

რუსეთის სტუდენტური ნაკრები, რომელშიც 3 კალათბურთელი VTB-ლიგის კლუბებში თამაშობს, მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადება, რომელსაც 15-31 აგვისტოს ტაივანი უმასპინძლებს. რუსები დღეს სლოვენიის ეროვნულ ნაკრებს ხვდებიან და ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამ დამატებითი მატჩის გამართვის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

საქართველოს ნაკრებში 24 ქულით, 5 მოხსნით და 3 პასით თორნიკე შენგელია გამოირჩა, რომელმაც რიგ ეპიზოდებში ისე შთამბეჭდავად ითამაშა, რუსებმაც ტაში დაუკრეს. გიორგი შერმადინი ფარქვეშ დომინანტი გახლდათ, თუმცა, ქართველი ცენტრი თავს ძალას არ ატანდა, თორემ გაცილებით მეტის რესურსიც გააჩნდა. შერმადინმა შეხვედრა ორმაგი დუბლით - 18 ქულითა და 11 მოხსნით დაასრულა.

2015 წლის სექტემბრის შემდეგ ნაკრებში პირველად ითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელსაც გასული სეზონი ტრავმის გამო გაუცდა. მანუმ 5 სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. დუდა სანაძემ, რომელიც ამ დღეებში 25 წლის გახდა, 14 ქულა მიითვალა, ხოლო ჩვენი გუნდის ძირითადმა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ შეხვედრა 9 ქულითა და 7 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

მშვენიერი დებიუტი ჰქონდა ეროვნულ გუნდში პირველად გამოძახებულ ილია ლონდარიძეს, რომელმაც ფარქვეშაც იბრძოლა და საჯარიმოს მისადგომებთანაც. დინამოელმა ფორვარდმა 6 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. დაბოლოს, ჩვენი გუნდის ნატურალიზებულმა ამერიკელმა კალათბურთელმა მაიკლ დიქსონმა მატჩი 11 ქულითა და 2 პასით დაასრულა.

საქართველოს ნაკრები ხვალ გეზს ავსტრიისკენ აიღებს, სადაც 29-ში ადგილობრივ ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. საქართველოს ნაკრები ავსტრიას 14 კალათბურთელით ეწვევა.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ გაატარეს

რას ვეძებთ, რა დაგვკარგვია?!

ამ დღეებში ერთბაშად ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენის საიუბილეო თარიღი შესრულდა, თუმცა, საქვეყნო საქმეებით დატვირთულ ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოში მათი აღნიშვნა თითქმის არავის გახსენებია.

საუბარია თბილისის ლავრენტი ბერიას სახელობის სტადიონზე ბასკების ისტორიული ვიზიტის ფარგლებში გამართული დინამოელთა დაუვიწყარი მატჩისა (0:2) და პირველი ქართული რადიორეპორტაჟის გადაცემის 80 წლისთავზე.

ბუნებრივია, როცა თვით გენიალური შოთა რუსთაველის მრგვალი თარიღი მივაყურისძირეთ, ზემოთ თქმულზე საყვედურის გამოთქმა აბა, რა საკადრისია. მაგრამ მაინც – დავიჯეროთ, თანამემამულეთა პირველი საერთაშორისო შეხვედრა და ქართულ რადიოეთერში გაჟღერებული ასევე პირველი სპორტული ტრანსლაცია მისაფუჩეჩებელია?!

რასაკვირველია, არა და მომავალში მაინც გავითვალისწინოთ ეს!

გიორგი ზოთაძე

◎ ახალი სახე

მას ერთხმად ენდნენ

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ ჩოგბურთის ფედერაციის ყრილობაზე ხვიჩა მაქაცარიას წარდგენა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის ალექსანდრე მეტრეველის ინიციატივით მოხდა.

ალექსანდრე მეტრეველმა განაცხადა, რომ სპორტის ამ პოპულარულ სახეობას ესაჭიროება იმ ადამიანების გვერდში დგომა, ვისაც ძალიან უყვარს ჩოგბურთი, მე კი ისევ ჩოგბურთში ვრჩები და მისი განვითარება – პოპულარიზაციისთვის ვიზრუნებ – დასძინა ალექსანდრე მეტრეველმა, რომელიც ჩოგბურთის ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ახალი კანდიდატი ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი უკვე იყო და აქვს მდიდარი გამოცდილება სპორტის საყვარელ სახეობაში.

არჩევნებს ასევე ესწრებოდენ ცნობილი ჩოგბურთელები ირაკლი ლაბაძე, მაკა ჩახნაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი (უფროსი) და ჩოგბურთის სამყაროს სხვა წარმომადგენლები.

ხვიჩა მაქაცარია მზად არის სპორტის ამ სახეობას კიდევ უფრო დაეხმაროს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ, სამეგრელოში მოაწყოს ჩოგბურთის კორტები და შექმნას ისეთი ინფრასტრუქტურა სადაც შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ტურნირების ჩატარება.

ყრილობის დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ახლად წარდგენილ კანდიდატს.

ხვიჩა მაქაცარია ჩოგბურთის ფედერაციას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ბეჟან დოლიძე

◎ გვირგვინოსნები დროში

„გაჭირვებული“ კასპაროვი

ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 54 წლის გარი კასპაროვი... კვლავ აპირებს აქტიურად ჩაერთოს სპორტულ პაექრობებში.

კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, წლეულს აგვისტოში იგი სენტ-ლუისის (აშშ) საჭადრაკო ტურნირში აპირებს მონაწილეობის მიღებას. თუმცა, არსებობს ერთი სერიოზული დაბრკოლება: ჭადრაკის მსოფლიო ორგანიზაციის (ფიდე) პრეზიდენტის არჩევნების დროს ქრთამის მიცემის გამო იგი დისკვალიფიცირებულია 2017 წლის ოქტომბრამდე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფიდეს პრეზიდენტის **კირსან ილუმჟინოვის** კომენტარი, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ გარი კასპაროვის ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, მატერიალური სიძნელეებითაა ნაკარნახევი: სენტ-ლუისის ტურნირის გამარჯვებულისთვის კი მეტად სოლიდური საპრიზო გასამრჯელოა.

გარი კასპაროვის მუდმივი სპორტული მეტოქე, ასევე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ანატოლი კარპოვი** თვლის, რომ კასპაროვი ამჟამადაც თამაშის საკმაოდ მაღალ დონეს ინარჩუნებს.

– მაგრამ დაბრუნება მარტივი არ იქნება, იმიტომ, რომ მისი თამაშის სტილი ენერგიის დიდი ოდენობით ხარჯვას მოითხოვს. მისი ხანგრძლივი შესვენება კი ენერგიის აუცილებელი მარაგის აკუმულირებას ხელს არ უწყობს, – განაცხადა კარპოვმა.

დაახლოებით ასეთივე პოზიცია აქვს ჭადრაკში მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს **ვლადიმერ კრამნიკს**:

– ჭადრაკი, არსებითად, ახალგაზრდების თამაშია, რის მიზეზად თუნდაც იმ გარემოების დასახელება შეიძლება, რომ 30 წლის შემდეგ ორგანიზმში ტესტოსტერონის დონე იკლებს, რომელიც კონცენტრირების უნარზეა პასუხისმგებელი, – ამბობს კრამნიკი. – ამ მხრივ ჭადრაკის სამყარომ მხოლოდ ერთი გამონაკლისი იცის – ესაა ვიქტორ კორჩნოი, რომელიც 60 წლის ასაკშიც ჩინებულად თამაშობდა.

ნინო ალექსანდრია

შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატე“

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტებზე მიმართულებების შესაბამისად:

მედიცინის ფაკულტეტზე

დიპლომირებული მედიკოსის (ქართულენოვანი, რუსულენოვანი) საგანამანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად;

1. სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

2. სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

3. ნორმალური ფიზიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

4. ადამიანის ნორმალური ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომიით და ოპერაციული ქირურგიით
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

5. ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

6. პათოლოგიური ანატომია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

7. პათოლოგიური ფიზიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

8. შინაგანი დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

9. ქირურგიული დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

10. ანესთეზიოლოგია, რეანიმატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

11. სამედიცინო რადიოლოგია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

12. ნერვული დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

13. ნეიროქირურგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

14. ფთიზიატრია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

15. კანისა და ვენერიული დაავადებები
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

16. ტრავმატოლოგია, ორთოპედია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

17. ოტორინოლარინგოლოგია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

18. თვალის დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

19. კლინიკური ფარმაკოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

20. უროლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

21. სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა;
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

22. კლინიკური ჰემატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

23. ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

24. ბავშვთა ქირურგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

25. პედიატრია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

26. ენდოკრინოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

27. ფსიქიატრია სამედიცინო ფსიქოლოგიით;
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

28. ინფექციური დაავადებები და კლინიკური იმუნოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

29. სასამართლო მედიცინა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

30. აკადემიური წერა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

31. პროფესიული ლათინური ენა
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

32. ინგლისური ენა
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

33. მედიცინის ისტორია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

34. ბიოეთიკა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

დიპლომირებული მედიკოსის **ინგლისურენოვანი** საგანამანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად სამედიცინო მიმართულების შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად;

1. სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

2. სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

3. ნორმალური ფიზიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

4. ადამიანის ნორმალური ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომიით და ოპერაციული ქირურგიით
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

5. ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

6. პათოლოგიური ანატომია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

7. პათოლოგიური ფიზიოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

8. შინაგანი დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

9. ქირურგიული დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

10. ანესთეზიოლოგია, რეანიმატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

11. სამედიცინო რადიოლოგია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

12. ნერვული დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

13. ნეიროქირურგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

14. ფთიზიატრია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

15. კანისა და ვენერიული დაავადებები
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

16. ტრავმატოლოგია, ორთოპედია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

17. ოტორინოლარინგოლოგია
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

18. თვალის დაავადებები
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

19. კლინიკური ფარმაკოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

20. უროლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

21. სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა;
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

22. კლინიკური ჰემატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

23. ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

24. ბავშვთა ქირურგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

25. პედიატრია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

26. ენდოკრინოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

27. ფსიქიატრია სამედიცინო ფსიქოლოგიით;
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;

28. ინფექციური დაავადებები და კლინიკური იმუნოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

29. სასამართლო მედიცინა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

30. აკადემიური წერა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

31. პროფესიული ლათინური ენა
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

32. ინგლისური ენა
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

33. მედიცინის ისტორია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

34. ბიოეთიკა
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე

დიპლომირებული სტომატოლოგის (ქართულენოვანი, რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად

1. თერაპიული სტომატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 3 ვაკანსია;
ასისტენტის -3 ვაკანსია;

2. ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია

პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 3 ვაკანსია;
ასისტენტის -3 ვაკანსია;

3. ორთოპედიული სტომატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 3 ვაკანსია;
ასისტენტის -3 ვაკანსია;

4. ქირურგიული სტომატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 3 ვაკანსია;
ასისტენტის -3 ვაკანსია;

5. ბავშვთა ქირურგიული სტომატოლოგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 3 ვაკანსია;
ასისტენტის -3 ვაკანსია;

6. ორთოდონტია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 3 ვაკანსია;
ასისტენტის -3 ვაკანსია;

7. ყბა-სახის ქირურგია
პროფესორი-1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 3 ვაკანსია;
ასისტენტის -3 ვაკანსია;

ფარმაციის ფაკულტეტზე

ფარმაციის საბაკალავრო (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად

1. სოციალური და კლინიკური ფარმაცია
პროფესორი -1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

2. ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმია
პროფესორი -1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე პროგრამაზე შემდეგი სასწავლო კურსების წასაკითხად

1. პრევენციული მედიცინა (ზოგადი და კერძო ჰიგიენა)
პროფესორი -1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

2. ასაკობრივი მედიცინა და ფსიქოჰიგიენა
პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

3. გარემოს მედიცინა
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

4. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი
პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

5. ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა
პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტ პროფესორი - 1 ვაკანსია;
ასისტენტის -1 ვაკანსია;

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები:

პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტი

პროფესორი, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

– აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა **შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეში** უნდა წარმოადგინოს

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე; თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ აკადემიური თანამდებობის მაძიებლის ანკეტა;

ბ) CV(ავტობიოგრაფია);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

ე) სამეცნიერო ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დოქტორანტების შემთხვევაში - დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა;

ვ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო შრომების სია;

ზ) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში ან სათანადო წესით გაცემული ცნობა);

თ) ინგლისური ენის ფლობის (არანაკლებ 2 დონე) ან ინგლისურ ენაზე სწავლის / სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (ინგლისურენოვანი სპეციალობის აკადემიური პერსონალისათვის)

ი) რუსული ენის ფლობის, სწავლის / სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებისათვის);

კ) 2 (ორი) ფოტოსურათი.

8. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

შენიშვნა: აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით, ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს პროფესიული ნიშნით, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) საკონკურსო განაცხადი და ანკეტა;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) CV (ავტობიოგრაფია);

ე) 2 (ორი) ფოტოსურათი;

ვ) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სპეციალური მომზადების ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები.

კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 27 ივლისიდან; საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 29 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით 10^{00} - 17^{00} სთ. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (III სართული ოთახი 307)

საბუთების გადარჩევის ეტაპი 1-2 სექტემბერი;

წინასწარი შედეგების გამოცხადება 4 სექტემბერი;

სააპელაციო განაცხადებების მიღება 5 სექტემბერი;

კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადდება 7 სექტემბერს;

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართზე საქართველო, ქ. თბილისი, 0179 სვანიძის ქ. N4ბ.

ტელ: +995 032 2293492 595 74 40 14 599 18 85 75

E-mail: medicina@hippocrates.edu.ge
www.hippocrates.edu.ge

გამოსათხოვარი

ქ. თბილისის ყოფილი ვაჟთა II საშუალო სკოლის 1955 წლის გამოშვების 11' კლასი იუწყება, რომ გარდაიცვალა ორი თანაკლასელი, პატიოსნებით, მოღვაწეობითა და მეგობრებისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამორჩეული პიროვნებები

ალეკო ჭყონია და

სოზარ აღნიაშვილი

თანაუგრძნობენ მათ შესანიშნავ ოჯახებს და იზიარებენ მათ მწუხარებას.

მეგობრების სახელით
ჯიმი ჩარკვიანი

◎ **წერილი რედაქციას**

თვალებში ნაცარს ნუ მვაყრით!

საჯარიმო ქულების შემოღება და საგზაო წესების გამკაცრება (უგზოობის, მანქანებით გადაჭედილ მარჯვენასაჭიანი მანქანებით და მოპედით სავსე ქუჩებში)

ერთგვარად საკამათოა, რადგანაც პირველ რიგში მოსაწესრიგებელია მომრავლებული მოპედებისა და უნომრო ჩაფხუტგარეშე ამ საშუალებებზე მჯდომი ადამიანები, რომლებიც არც შუქნიშანს ექვემდებარებიან, არც საწინააღმდეგო მოძრაობას და ქმნიან მოძრაობაში ქაოსს. თუ დააკვირდებით, ასეთი მოპედები გამოყენებულია პიცისა და ხაჭაპურის, სუშის სადისტრიბუციოდ. როგორ შეიძლება ასეთი ქაოსის დაშვება?.. ასეთი ტრანსპორტის მომრავლება ხომ დაბალი ეკონომიკის ნიშანია, ნუთუ ეს არ უნდა გავითავისოთ. მოძრაობის წესები და კანონები ყველა სატრანსპორტო საშუალებას უნდა ეხებოდეს, სხვაგვარად ახალი წესების შემოღება აზრს კარგავს. ერთი გადახედეთ მოძრაობის წესების დარღვევების, ჯარიმების ქულათა სისტემას და ამ წიგნში მოყვანილი ფულადი ჯარიმების ოდენობას. სრულიად არარეალური ციფრებია. გამოდის, რომ პენსიონერს და დაბალი ხელფასის მქონე ადამიანებს ვუკრძალავთ საჭესთან დაჯდომას... სად არიან უფლებადამცველები, თითქოს ამ ჯარიმის შემომღები ადამიანები სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან. სწორედ ესაა რეალობას მოწყვეტა, ხალხის გასაჭირის გაუთვალისწინებლობა, თვალებში ნაცრის შეყრა...

ვახტანგ ჯეჯელავა,
კარლო ფიოლია
(ავტომოყვარულები)

როგორ გაუბედეს ოთო კახიძეს დაჯარიმება?

თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთარ კახიძეს 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა და იარაღის ტარების უფლება ერთი თვით ჩამოართვა. როგორც კახიძე აცხადებს, ის გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს და ამბობს, რომ აქციაზე იარაღით არ უნდა წასულიყო.

23 ივლისს ოთარ კახიძეს საპროტესტო აქციაზე თან ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი, რის საფუძველზეც თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველომ მის წინააღმდეგ სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა.

სამუშაოები უნდა შეესრულებინათ არა ხელით და კუსტარული იარაღებით, არამედ შესაბამისი ინსტრუმენტებით

ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების სამსახურის ხელმძღვანელის ელზა ჯგერენაიას განცხადებით, დიდუბეში, იტალიურ ეზოში, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, პირველადი მოკვლევით, გამოიკვეთა დარღვევები.

„ამ სამუშაოებს არეგულირებს ტექნიკური რეგლამენტი, სადაც კონკრეტული სტანდარტია დარღვეული, რომელიც ეხება სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებას. ეს სამუშაოები უნდა შეესრულებინათ არა ხელით და კუსტარული იარაღებით, არამედ შესაბამისი ინსტრუმენტებით, რომელიც ამ დასანგრევი ობიექტის სიმაღლის პროპორციული მანძილით იქნებოდა დაშორებული. ეს ნორმები პირველი მოკვლევით ჩანს, რომ დარღვეულია, ამიტომაც მოყვნენ დასაქმებულები ამ მდგომარეობაში. რაც შეეხება ნებართვას, ამას შესაბამისი სამსახური დაადგენს. ჩვენ ვთანამშრომლობთ ასევე საგამოძიებო უწყებასთან და გამოძიების შედეგად გამოიკვეთება რა ხდება“, — განაცხადა ჯგერენაიამ.

შეგახსენებთ, რომ დიდუბეში, შენობის დემონტაჟისას ერთი მუშა გარდაიცვალა და რამდენიმე დაშავდა. შემთხვევა იტალიურ ეზოში ავარიული კორპუსის კედლის ჩამოშლის შემდეგ მოხდა.

უფრთხილდით გაგანია სიცხეს!

27-29 ივლისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, უახლოეს დღეებში საქართველოში მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მომატება, რომლის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში — 27-28, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 28-29 ივლისს მიაღწევს.



დასავლეთ საქართველოს დაბლობში ჰაერის ტემპერატურამ შესაძლოა, 42 გრადუსს მიაღწიოს, მთაში და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +35, +40 გრადუსია მოსალოდნელი.

ტყავის ბურთის ჯადოქარი

სასიძადულო მამულიშვილს, ღვაწლმოსილ სპორტსმენს, ღირსების ორდენის კავალერ

ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას



ბატონო ვლადიმერ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – 80 წლის იუბილეს.

საქართველოს საზოგადოების არაერთ თაობას, განსაკუთრებით ფეხბურთის გულშემატკივრებს, კარგად ახსოვთ თქვენი - ტყავის ბურთის უბადლო ოსტატის ვირტუოზული ტექნიკით, საფეხბურთო ინტელიგენტურობითა და რაინდობით გამორჩეული თამაშები. თქვენ, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს და 1964 წლის ჩემპიონს, დამსახურებული ადგილი გიკავიათ ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელთა თანავარსკვლავედში.

თქვენი, როგორც ფეხბურთელის განსაკუთრებული ნიჭი და საშემსრულებლო ოსტატობა თავის დროზე ზუსტად შეაფასა ფეხბურთის არაერთმა ცნობილმა სპეციალისტმა და მათ შორის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა – „სიომა ბარქაია თამაშობს ისეთ ფეხბურთს, რომელსაც ითამაშებენ 100 წლის შემდეგ“.

მისაბაძია თქვენი, როგორც ომგამოვლილი პიროვნების, კეთილშობილი ადამიანის საზოგადოებრივი აქტიურობა, ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

გვეამაყება, რომ ბრძანდებით აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის აქტიური წევრი და თქვენს მდიდარ გამოცდილებას, ინტელექტს უანგაროდ ახმართ დევნილობაში მოქმედი აფხაზეთის საფეხბურთო გუნდებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ღირსეულ იუბილეს, გისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, ოჯახურ ბედნიერებას, თქვენი სანუკვარი ოცნების ახდენას – აფხაზეთში დაბრუნებას და ქართული ფეხბურთის რენესანსის დადგომას.

ღმერთმა უმრავლოს ქართულ ფეხბურთს თქვენისთანა დიდოსტატები.

პატივისცემით,

აფხაზეთის ა/რ მთავრობის სახელით
ვახტანგ ყოლბაია

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს
სახელით **ელგუჯა გვაზავა**

აჭარის ვიდეორგოლები BBC-ზე ტრიალებს

აჭარის ახალი საიმიჯო ვიდეორგოლები Euronews-ის გარდა უკვე BBC-ის ეთერში ტრიალებს. ერთი თვის განმავლობაში რეგიონის საზღვაო და სამთო ტურისტულ პროდუქტებს აქტიური სატელევიზიო რეკლამით მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში გაიცნობენ. რაც შეეხება სატელევიზიო რეკლამას ევრონიუსზე ის სექტემბრის ბოლომდე იტრიალებს. ორივე სატელევიზიო არხი ჯამში 158 ქვეყანას დაფარავს.

„2017 წლის სარეკლამო კამპანიებს აქვს 17 სამიზნე ბაზარი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტს ამდენი სამიზნე ქვეყანა აქვს. შესაბამისად, ჩვენ გადავწყვიტეთ მსოფლიოში ყველაზე რეიტინგული მედია პლატფორმები შეგვერჩია და ბუნებრივია, სხვებთან ერთად ასეთია BBC/ EURONEWS8 ორივე მათგანი ფარავს ჩვენს სამიზნე ქვეყნებს. ხელშეკრულებების თანახმად ტელეკომპანიები ასევე მოამზადებენ სიუჟეტებს აჭარის შესახებ, სადაც ჩვენი ტურისტული პოტენციალი იქნება წარმოჩენილი. ეს არის ჩვენი გრძელვადიანი სარეკლამო სტრატეგიის ნაწილი, რომელიც ტურისტების მოზიდვასთან ერთად, ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას ისახავს მიზნად“. – განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თანამედროვე რამზეს II

ცნობილი ფაქტია, რომ ეგვიპტის ერთ-ერთ უდიდეს ფარაონს, რამზეს მეორეს 200-ზე მეტი შვილი და 40-ზე მეტი ცოლი ჰყავდა. მაგრამ ეს ყოველივე საუკუნეების წინ ხდებოდა, თუმცა მისი მსგავსი ადამიანები თურმე დღესაც მოიძებნებიან დედამიწაზე.

კანადის სასამართლომ ოფიციალურად სცნო დამნაშავედ, მრავალცოლიანი 61 წლის უინსტონ ბლექმორი. მას 24 ცოლისგან 145 შვილი ჰყავს. მასთან ერთად დამნაშავედ სცნეს, თავისი ცოლის ძმა, 53 წლის ჯეიმს ოლერი, რომელსაც სულ რაღაც 5 ცოლი ჰყავს.

როგორც ირკვევა ორივე მათგანი ფუნდამენტალური მორმონული ეკლესიის ეპისკოპოსები არიან და თავიანთ მიმდევრებთან ერთად, დღემდე ცხოვრობენ ბაუნტფილის პროვინციაში (ითვლება ბრიტანეთის კოლუმბიად), რომელიც 1946 წელს მორმონებმა დააარსეს.

ბლექმორი მთელი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ამტკიცებდა, რომ მისი ყველა ქორწინება კანონიერია.

ამერიკელი მორმონების დიდმა ნაწილმა მე-19 საუკუნის ბოლოს უარი განაცხადა მრავალცოლიანობაზე. თუმცა რამდენიმე ათასი ფუნდამენტალისტი ჯერ კიდევ რჩება ძველი რელიგიური წესების ერთგული.

ენდი უორჰოლის ნახატი საკუჭნაოში იპოვეს

ამერიკელმა მუსიკოსმა ელის კუპერმა საკუთარი სახლის საკუჭნაოში ენდი უორჰოლის მივიწყებული ნახატი აღმოაჩინა.



ელის კუპერი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ვინსენტ ფურნიე, ეს ნახატი უორჰოლთან დამეგობრების შემდეგ, ნიუიორკში 1972 წელს 2500 დოლარად შეიძინა. ამის შემდეგ მუსიკოსმა სურათი საკუჭნაოში შეინახა და მისი არსებობა გადაავიწყდა.

ნახატის სახელწოდებაა „პატარა ელექტრო სკამი“ და დღეს მისი ღირებულება რამდენიმე მილიონ დოლარს აღემატება.

სურათი წითელ და შავ ფერებშია შესრულებული და მასზე ის ელექტრო სკამია დახატული, რომელზეც 1953 წელს ცოლ-ქმარი როზენბერგები აწამეს. მათ ბრალი ედებოდათ ღალატსა და ჯაშუშობაში სსრ კავშირის სასარგებლოდ.

ეს ტილო მიეკუთვნება უორჰოლის ნახატების სერიას „სიკვდილი და კატასტროფა“. ანალოგიური ტილო, ოღონდ მწვანე ფონით 2015 წელს „რისტის“ აუქციონზე 11 მილიონ დოლარად გაიყიდა.

აღმოჩენილი ნახატის გაყიდვა რამდენიმე მილიონად გაჭირდება, რადგანაც მასზე მხატვრის ავტოგრაფი არაა დატანილი. უორჰოლი 1987 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი ნახატების იდენტიფიცირების კომისიამ არსებობა 2011 წელს შეწყვიტა.

ახლა მუსიკოსი ამ შედევრით საკუთარი სახლის კედლის დამშვენებას აპირებს.

საფრანგეთში ქალაქის თავმა უცნაური სანაძლეო შეასრულა

საფრანგეთის ქალაქ მონ-დე-მარსანის მერმა შარლ დაიომ სანაძლეო წააგო და პირობაც შეასრულა.

როგორც ირკვევა მან სანაძლეო 2017 წლის გაზაფხულზე, ჩემპიონთა ლიგის თამაშის შემდეგ დადო. ეს ის მატჩი გახლდათ, სადაც „პარი-სენ-ჟერმენმა“ „ბარსელონას“ 4:0 მოუგო. გახარებულმა ქალაქის მერმა, პირობა დადო, რომ თუ „პსჟ“ შემდეგ ეტაპს ვერ გადალახავდა, მაშინ ის ვირთხის ხორცს შეჭამდა.

როგორც ვიცით შემდეგი მატჩი „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა ფრანგებს 6:1 მოუგეს და მერიც იძულებული გახდა, სანაძლეო შეესრულებინა.

ეს ყოველივე ბატონმა დაიომ 22 ივლისს ადგილობრივ დღესასწაულზე აღასრულა. სპეციალურად მისთვის ნუტრია შეწვეს, რადგან ისიც, როგორც ვირთხა მღრღნელების ოჯახიდანაა. ქალაქის თავს გვერდს „ბარსელონას“ საფეხბურთო ნაკრების მაისური უმშვენებდა, ხოლო „პარი-სენ-ჟერმენი“-ის მაისურს, როგორც ხელსაწმენდს ისე იყენებდა.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.3987; ევრო - 2.7945;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1243;
100 რუბლი - 3.9995; თურქული ლირა - 0.6733;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4156;
1000 სომხური დრამი - 5.0151.

ამინდი 27 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+36
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+39
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge